

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 9

სექტემბერი

2006

პაპის ქადაგება

ბენარის საკრებულო 10 წლისაა

საუბრები სინოდის წევრებთან

ეპისკოპოსი უპასუხებს მკითხველებს

ბიბლია მესხეთში

“მოწევა სასტიკად აკრძალულია!”

რედაქციის გვერდი

### მშენებარე გზები

მშვენიერია, როდესაც უყურებ საქართველოში ძირითადი გზების განახლებასა და იმ მაგისტრალური გზის მშენებლობის განხორციელებას, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიებს შეაერთებს; ადამიანთა იმ ჯგუფთათვის, რომლებიც მოუთმენლად ელიან სამუშაოს მოპოვებას ამა თუ იმ ადგილზე ბოლოს და ბოლოს ვნახავთ ჩაბმულს სამსახურში, სარჩოს საკუთარი ხელების გარჯით რომ მოიპოვებენ; ვინაიდან ამ გზებზე მგზავრობა ხშირად მიწვევს და, შესაბამისად, სამუშაოების მსვლელობასაც ვაკვირდები, უნებურად 50-60-იანი წლების იტალია მაგონდება, თუმცა ეს ხომ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც ხდებოდა, როდესაც ომის შემდგომ პერიოდში, თუნდაც გზების მშენებლობის წყალობით, ნელ-ნელა ფეხზე დგებოდა მთელი ეკონომიკური სისტემა, რომელიც დანგრეული და სისხლისაგან დაცლილი იყო ომის წყალობით; იმ წლებში მე პატარა ვიყავი, მაგრამ ყოველდღიურად ვამჩნევდი იმ პროგრესს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, იმ იმედებს, რომელიც ინერგებოდა; გზებმა ხომ უკვე გასწია ფასდაუდებელი სამსახური რომის იმპერიის ხანაში, – ისე, რომ მაშინ შეიძლებოდა თქმა, ყველა გზას რომში მივყავართო, ასევე, ყველა გზა რომიდან იღებდა სათავეს, რათა მიეღწია იქამდე, სადაც ლომნი ბუდობდნენ, ან კიდევ ჰერაკლეს სვეტები იყვნენ აღმართულნი.

სწორედ ცივილიზებულობის ნიშანია კომუნიკაციის შესაძლებლობა, ურთიერთშეხვედრისა, რომელიც ხიდების, ვიადუქტებისა და გზების მეშვეობით ხორციელდება; გზებისთვის ყურადღების მიქცევა კი არის იმედის მომცემი ნიშანი ამ ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის; რაღა თქმა უნდა, საქართველო იმსახურებს, რომ ის მოინახულონ, გაიცნონ და ეთაყვანონ მის სილამაზეს, მის კულტურას, მის მცხოვრებთ; ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიო იმსახურებს მონახულებასა და გაცნობას...

ადამიანი დარჩა “ჰომო ვიატორ”-ად, მაშინაც კი, როდესაც იგი მკვიდრი მოსახლე გახდა; მისი სახლი გზაზე იმყოფება, ან კიდევ მასზე

გადის; მისი ცხოვრებაც ხომ გზა არის; ქრისტიანობა, ისევე როგორც იუდაიზმი, არის ერთი დიდი გზა; თვით იესომ განსაზღვრა საკუთარი თავი გზად, რომლის მეშვეობითაც უნდა მივიდეთ მამამდე, ჭეშმარიტ ბედნიერებამდე, სიცოცხლის წყარომდე; შემდგომ კი მან საკუთარ მოწაფეებს დაავალა, დაეხლოთ მთელი მსოფლიოს ყველა გზა, რათა ეხარებინათ უფლის სასუფეველი, ცოდვათა მიტევება და ცხოვრების შეცვლა; ასე იყო ქრისტიანობის დასაწყისიდანვე, განუწყვეტლივ; გზები და ძირითადი გზაჯვარედინები იქცნენ იმ ადგილებად, სადაც ეკლესიები, მონასტრები, თავშესაფრები, სასტუმროები, საავადმყოფოები და უნივერსიტეტები აშენდნენ.

დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო დღითიდღე ხილული გზებით დაიქსელა (და... ასევე ვირტუალურით), ძნელია ითქვას, თუ სად არის მსოფლიოს ცენტრი, თუ კი ასეთი არსებობს: ადგილი, სადაც ყველა გზას მიყავართ, სადაც ყველა გზა იყრის თავს; შეიძლება ქედმაღლურიცა და სარისკოც კი იყოს ამის გაფიქრება; თუმცა რამდენი ცდილობს, რომ საკუთარი თავი, საკუთარი სახელმწიფო, საკუთარი პროექტი აქციოს ამად; თუმცა ასეთ დიდ მოძრაობაში ადამიანს არ შეიძლება არ ჰქონდეს ცენტრი, ძალიან ძლიერი ცენტრი, სწორედ ამ თავბრუდამხვევი მოძრაობის გამო; ხშირად ხომ ის ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება, რომელიც რისკავს არ გადაგვარდეს, არ მოსწყდეს საკუთარ ბუნებას; რომელი იქნება ეს ცენტრი, სად იქნება ეს ცენტრი, ადამიანის გარეთ, თუ მის წიაღში, მის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ?

ანუ გზა და გზათა განვითარება მხოლოდ სამუშაოსა და ფულს კი არ ნიშნავს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის აღქმა-შეგნებას, რომ ადამიანი არსებობს და მას ეს სწადია; ეს მენტალური საკითხია, კულტურული საკითხი, – ამ ტერმინის ფართო გაგებით; გზათა მშენებლობა ნაბიჯს უწყობს ადამიანის სულ უფრო და უფრო პასუხისმგებლობით აღსავსე კონცეფციას, მზაობას შეხვედრისა და დიალოგისათვის; გზათა მშენებლობა შეიძლება ძალზე ხელსაყრელიც იყოს, მაგრამ ასევე ადამიანის ცივილიზაციის მესაფლავედაც შეიძლება იქცეს, მისი ჰუმანურობისა, მისი სულიერებისა; მზად იქნება ქართველი ადამიანი, რომ სწორად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, მაშინ როდესაც ზოგიერთი ქართველისათვის დიალოგი ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს? ვინც მართლმადიდებელი არ არის, ამას ის ადვილად დაგიდასტურებთ; მაშინ, როცა ხშირ შემთხვევაში გზა არის ის ადგილი, სადაც არ სცემენ პატივს საგზაო წესებს, არად დაგიდევენ იმ საფრთხეებს, რომლებიც სხვებს ექმნებათ? ვინც მგზავრობს, იოლად შეამჩნევს, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ ურთიერთპატივისცემის კულტურისაგან; ადამიანი მანქანის საჭესთან ხშირად სხვად გადაიქცევა, თითქოს მხოლოდ იგი არსებობდეს ამ ქვეყნად და სხვისი აღარაფერი აინტერესებს: ეს არის კულტურა სუპერმენისა, რომელსაც შესწევს ძალა ყველაფრის კეთებისა, იმ მარტივი ფაქტის გამო, რომ მას ჰყავს ძლიერი მანქანა, აქვს საქმე, შეუძლია ფულის შოვნა, შეუძლია ქვეყნის დაპყრობა... ვინ იცის გზად რამდენი რთული სიტუაცია იჩენს თავს, რამდენი ინციდენტი ან ინციდენტის გამომწვევი სიტუაცია გვეხსნება თვალწინ!

შესაძლებელია სანქციების გაზრდა ან კიდევ გახშირდეს პოლიციის მიერ გზის პატრულირება, მაგრამ ყველაზე მეტად საჭიროა, რომ გაიზარდოს თანაპასუხისმგებლობა ერთმანეთისა და სხვების მიმართ, არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, ბუნების საკითხიც, რადგანაც საქართველოში ეკოლოგიურ პრობლემატიკას დიდი ყურადღება არ ექცევა (თუნდაც ბენზინის ნამწვავისა თუ სხვა მრავალი მანქანის ნარჩენების სახით).

ქრისტიანებს – კაცობრიობის სავალ გზებზე მოსიარულეებს, მრავალ სხვა მორწმუნეს, არ შეუძლიათ რაიმე კონკრეტული ცენტრისა და მიზნის გარეშე ცხოვრება. ადამიანის გზა უფლისაა და მიემართება: ქრისტიანი არ არის ბრმა, რომელსაც მეორე ბრმა მიუთითებს გზას.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში, მთელი თავისი ძალისხმევით უხმობს თავის მორწმუნეებს “ერთად სიარულისკენ”, ხოლო თავისი სინოდის წევრებს კი მოუწოდებს, რათა მათ ყურადღება მიაპყრონ საკაცობრიო თემებსა და პრობლემებს, აგრეთვე, მუდმივი ჩამოყალიბებისა და საერო პირებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. ზემოაღნიშნული გზის მაგალითს თუ წარმოვიდგენთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წლების მანქნაზე ერთობას წინ შეიძლება აღუდგეს მრავალი აუხსნელი ბარიერი: მაგალითად, ფორმაციის საკითხი; აგრეთვე, მნიშვნელოვანი საქმეების კეთების დროს მიზნისკენ მიმავალი მოკლე გზები ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ ზედაპირული აღმოჩნდეს, საერო პირმა შეიძლება ხშირად თავი აარიდოს ბევრ გაუთვალისწინებელ საქმეს...

ის, თუ როგორი იქნება ამ სამი საგზაო ნიშნის გზაზე ერთად სიარულის ნაყოფი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად მივუდგებით ამ ერთად სასიარულო გზის განახლების საკითხს, იმ გზისა, რომელზედაც ამჟამად დმრთაებრივი ხილვა მიუთითებს ჩვენს ეკლესიას.

**მამა გაბრიელე ბრავანტინი**

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

### **uflis mSvidoba \_ istoriis sazrisi**

ama wlis ivlisis Tve wmida miwisaTvis, im miwisaTvis, sadac Cvens ufals da Cvens RmerTs Tavisi miwieri cxovrebis gatareba mouwia, uaxlesi istoriis erT-erTi yvelaze ufro mZime periodi aRmoCnda.

mkiTxvels aRar SevaxsenebT, Tu rogor aRgaves pirisagan miwisa libanis mniSvnelovani nawili, rogor gadaurCa ganadgurebas nazareTi da karmelis mTa \_ qristianTa wmida adgilebi.

23 ivliss, roca israelisa da hesbolas dajgufebobs Soris cecxlis Sewyvetis aranairi imedi ar Canda, wmida mamam \_ benediqte XVI-m \_ reimsis wmida giorgis taZarSi qadageba wamoTqva, romlis Targmansac qvemoT SemogTavazebT:

“axlo aRmosavleTis movlenebis dramatul fonze Cvens STagonebas namdvilad atyvevebs pavle mociqulis mier daxatuli saocari xilva:

*“amitom gaxsovdeT, rom Tqven, odesRac xorciT warmarTebi, romelTac winadaucveTelebs giwodeben isini, visac erqvaT winadacveTilebi xorcis winadacveTiT, rac xeliT sruldeboda, rom im dros Tqven qristes gareSe iyaviT, israelis krebulisagan gaucxoebulni, aRTqmis mcnebaTagan ucxoni, ar gagaCndaT saso da uRvToni iyaviT sofelSi. axla ki ieso qristeSi, odesRac Sors myofni, axloblebi gaxdiT qristes sisxliT. vinaidan igi aris Cveni mSvidoba, romelmac ori erTad aqcia da daangria maT Sua mdgari zRude. gaauqma mtroba Tavisi xorciT, mcnebaTa rjuli \_ mcnebebiT, raTa orisagan Tavisi TavSi Seeqmna erTi axali kaci, mSvidobismyofeli. da erT sxeulSi orive Seerigebina RmerTTan jvris meSveobiT mtrobis mokvdinebiT masSi. movida da gaxaraT mSvidoba Tqven \_ SorebelTa da axlobelT, vinaidan misi meSveobiT orives gvaqvs erTi suli misadgomi mamasTan” (efes. 2:11-18).*

qriste, WeSmaritad, Cveni mSvidobaa. man Seariga erTni sxvebTan \_ ebraelni warmarTebTan. man isini sakuTari sxeuliT SearTa, sakuTari sxeuliT sZlia urTierTmtrobas \_ sZlia jvriT. jvarze sikvdiliT man daamarca mtroba da yvelani Tavisi mSvidobiT gagvaerTiana.

magram, am suraTis mSvenierebasTan erTad, gvaocebs kontrasti \_ is realoba, romelsac axla Tvals vadevnebt. erTaderTi, rac SegviZlia, isaa, rom SevRaRadoT ufals \_

“ufalo, ras gveubneba Seni mociquli, sad aris es siaxlove \_ qristianTa, muslimTa da iudevelTa Soris xom kvlav omia? sad aris Seni msxverplSewrivis xiluli Sedegi? sad aris istoriaSi mSvidoba, romlzec Seni mociquli gvesaubreba?”

Cven \_ adamianebs – ar Zalgvizs SevicnoT istoriis saidumlo, adamianis Tavisufali nebis saidumlo, romelic eurCeba uflis nebas. Cven bolomde ar SegviZlia CavwvdeT RmrTisa da adamianis urTierTobaTa saidumlos. Cven unda miviRoT yovelive es rogorc saidumlo.

magram, amasTan erTad, arsebobs isic, rac am saidumlos amoxsnis sawindaria. pirveli amgvარი niSani isaa, rom RmrTis Semarigebeli msxverpli amao ar yofila. am msxverplma Cven diad WeSmaritebasTan \_ msolfio eklesiis erTianobasTan migviyvana, im erTianobasTan, romelic yvela xalxs aerTianebs \_ esaa evqaristia. wmida ziareba kulturaTa, civilizaciaTa, saxelmwifoTa da droTa sazRvrebs miRmaa. swored aqaa qristes sxeulis “mSvidobis kunZuli” \_ is namdvilad arsebobs.

amave dros, samyaroSi mSvidobismoyvare Zalebic arsebobs. Tuki istoris msvlelobas gadavxedavT, davinaxavT gulmowyalebis diad wmidanebs, romlebmec RmrTis mSvidobis “oazisebi” Seqmnes; davinaxavT mowameebs, romelnic amowmebdnen da amowmeben RmrTis mSvidobas, siyvarulsa da Zaladobis uZalobas. roca amgvარი WeSmariti mSvidobis magaliTebis vumzerT, ukeT gvesmis pavles epistole efeselTa mimarT \_ gvesmis miuxedavad sastiki realobisa.

ufalma jvriT da jvarze gaimarjva. man gaimarjva axali imperiis Seqmnis gareSe, xiluli Zalis gamoyenebis gareSe. man ise gaimarjva, rogorc ar ZaluZT gamarjveba adamianebs \_ ara Zlieris sustze gamarjvebiT, aramed \_ siyvaruliT, romelic bolomde ixarjeba. ufali ar upasuxebis Zaladobas ZaladobiTve \_ piriqiT: is Zaladobas bolomde daxarjuli siyvaruliT upasuxebis, is upasuxebis Zaladobas Tavisi jvriT. amgvaria uflis pasuxi \_ oden siyvaruliT amarxebis ufali Zaladobas.

amitomac, wmida wirvis dros, roca uflis xorcis miRebisaTvis vemzadebiT, vilocot mTel eklesiasTan erTad:

**“gvixsen Cven borotisagan, ufalo! mogvec Cven mSvidoba! mogvec Cven mSvidoba xval da dRes!”**

**iakob dumbaZe**

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

## **ჩვენი ღოცვაც შეისმინოს უფალმა! სოფელ ბენარის კათოლიკური საკრებულო 10 წლისაა**

სოფელ ბენარამ, ხელსაყრელი და ადვილად მისადგომი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ის გაშენებულია აბასთუმან-ბათუმის გზაჯვარედინზე), მრავალი ჭირ-ვარამი გამოიარა. იგი მრავალჯერ იავარქმნეს თურქებმა, ადგილობრივ მოსახლეობასაც შეერივნენ და მუდმივ საცხოვრებლადაც გაიხადეს. სოფელს ნახევარი კილომეტრის მოშორებით „ზადენი“ გადმოჰყურებს. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობის გვარცელებამდე, „ზადენი“ „არმაზთან“ ერთად კერპთაყვანისმცემელთა კერპები იყო. აქ XIX საუკუნის 20-იან წლებამდე 60 კომლიანი სოფელიც იყო, რომლის ადგილას დღეს მხოლოდ ნასახლარებიღაა. სოფელ ბენარა კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მოსახლეობითაა დასახლებული, უმეტესად მკვიდრი მესხებით – უღელი და არღელი ქართველი კათოლიკეებით. სოფელში კათოლიკე სომხები და საჩხერისა და ბაღდათის რაიონებიდან გადმოსახლებული მართლმადიდებლებიც ცხოვრობენ.

90-იან წლებში, როდესაც ძალიან გააქტიურდნენ იეჰოვას მოწმენი, რომლებიც ცდილობდნენ უფრო მეტი ახალგაზრდისა და ბავშვის მიმხრობას, სოფელში ჩატარდა ყრილობა და გადაწყდა, რომ თხოვნით მიგვემართა არლის მღვდლის, მამა ბერნარდინისათვის, ბენარაშიც ჩამოეყალიბებინა საკრებულო და წმიდა წირვები ჩატარებინა. ჩვენს თხოვნას მამა ბერნარდინმა დიდი ენთუზიაზმით უპასუხა და სოფლის კლუბში წირვების ჩატარება დაიწყო, შემდეგ კერძო ბინაში გადავინაცვლეთ. ახლა მამა იეჰუ შიმეროვსკი წირვებს ნაქირავებ სახლში ატარებს. ამ დროს ჩვენთვის უქმად არ ჩაუვლია: 12 წყვილმა დაიწერა ჯვარი და აღსრულდა სხვადასხვა საეკლესიო საიდუმლოებები. საბედნიეროდ გვყავს კატეხისტი თამრიკო სარაშვილი, რომელმაც მთელი

სული და გული ჩადო ახალგაზრდების მომზადების საქმეში და თავდაუზოგავად იღვწის ახალგაზრდებისა და ბავშვების სულიერი ამაღლებისა და რწმენაში განმტკიცებისათვის.

ჩვენი სოფლის მაგალითს მეზობელი სოფლის – უნწის მოსახლეობამაც მიჰბაძა, საკრებულო ჩამოაყალიბა და მამა იეჟის დახმარებით სამლოცველო სახლიც გაარემონტა. ახლა მამა იეჟი მათაც არ აკლებს თავის ზრუნვას და სისტემურად ატარებს წირვებს.

ბენარაში სამლოცველო სახლის ხშირმა ცვლამ, მავანთა მავნე აგიტაციამ წირვაზე მომსვლელთა რიცხვი შეამცირა, მაგრამ, გვჯერა, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ჩვენი სოფელში 70 კომლია და ეკლესია კი არ გვაქვს. ბენარის მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ ეკლესიის აშენება ამ პრობლემასაც მოაგვარებს და მრევლიც კიდევ უფრო გაიზრდება.

გვწამს, ღმერთი შეისმენს ჩვენს ღოცვა-ვედრებას და მოგვეცემა ეკლესიის აშენების შესაძლებლობა.

**სეკტლანა მათოშვილი-ბონიკაშვილი**  
ბენარა

## **მონატრებული მოძღვრის დაბრუნება**

განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნეს წლევეანდელი ფერისცვალება წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში. ამ განსაკუთრებული სიხარულის მიზეზი კი მამა ადამის დაბრუნება იყო მშობლიური პოლონეთიდან, სადაც იგი ხანგრძლივი მკურნალობის კურსს გადიოდა. ფერისცვალების წირვა მამა ადამმა აღავლინა და საკუთარ მრევლს დიდი სიხარული მიანიჭა.

მრევლის გარკვეული ნაწილი მოუთმენლად ელოდა მამა ადამის ჩამოსვლას, რადგანაც იგი მათი სულიერი მოძღვარი იყო.

წირვის დასრულების შემდეგ, მრევლი ცდილობდა თავისი აღტაცება გამოეხატა იმპროვიზებული მილოცვებით. მამა ადამი არ ელოდა ასეთ შეხვედრას, იგი წუთით დაიბნა კიდევ და დამორცხვებულმა ჩაილაპარაკა: არ არის საჭირო ამდენი ემოციებით. მაგრამ მალე იგი საკურთხევლიდან ჩამოვიდა და მრევლს შეერია. აქ კი თითოეულს მიეცა საშუალება მიახლოებოდა საყვარელ მოძღვარს, მოეკითხა იგი და მიელოცა მისთვის გამოოჯანმრთელება.

სასიამოვნო საყურებელი იყო მონატრებული მრევლისა და მადლიერი მღვდლის შეხვედრა.

**ნადია ჩიტაძე**  
თბილისი

## **ახალშენური ქრონიკები**

უკვე რამდენი წელია ყოველ ზაფხულს, განსაკუთრებით კი აგვისტოს, ახალშენის ახალგაზრდები და ბავშვები დიდი ინტერესით მოედიან. ეს „სკაუტების“ სტუმრობის თვეა, რომლებსაც ნაირ-ნაირი გასართობი პროგრამები ჩამოაქვთ იტალიიდან და ქართველ

თანატოლებთან ერთად დიდიდან გვიან დამემდე სოფელში ისმის მხიარული სიმღერებისა და ცეკვა-თამაშის ხმები. წელსაც არ უღალატეს იტალიელმა ახალგაზრდებმა ჩვეულებას და აგვისტოს დასაწყისში ეწვივნენ საქართველოს. სასიხარულოა, რომ ამჟამად ისინი მამა მაუროს ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ, მისივე საკრებულოდან.

მამა მაურომ საქართველოში სამიოდე წელი დაჰყო, მაგრამ ქართველ კათოლიკეთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა. ალბათ, მასაც ენატრებოდა საქართველო, ენატრებოდა იმ ადგილების ნახვა, სადაც გულთბილად და სიყვარულით იღებდნენ და თავად გამოჰყვა „სკაუტებს“. ისინი საქართველოს სხვადასხვა ადგილებში განაწილდნენ, ახალშენს ხუთი ახალგაზრდა სტუმრობდა: ერთი – ახალგაზრდა წყვილი და სამიც გოგონა. მათ ხუთი დღე დაჰყვეს საკრებულოებში და შემდეგ წეროვანში გაემგზავრნენ ქართველ კათოლიკე ახალგაზრდებთან ერთად, რათა მონაწილეობა მიეღოთ 14-15 აგვისტოს გამართულ ახალგაზრდულ ზეიმში.

ახალშენში, ასევე, სტუმრად იმყოფებოდა მამა გაბრიელე ბრაგანტინის სოფლიდან ჩამოსული ტურისტული ჯგუფი – 15 კაცის შემადგენლობით, რომელთაც წმ. მარტინის ეკლესიის დიოცეზიანელი მღვდელი მამა ჯუზეპე მირანდოლა ხელმძღვანელობდა. ჯგუფში ძირითადად ეკლესიის მრევლია შეკრებილი. საერთოდ სოფელში 13 200 მცხოვრებია, მაგრამ ამათგან მხოლოდ 20% იქნება ეკლესიური. როგორც მამა ჯუზეპემ აღნიშნა, მცხოვრებთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მონაწილეობს ყველა საეკლესიო საიდუმლოებებში: ნათლობა, მირონცხება, ქორწინება, აღსარება, ზიარება, მაგრამ რატომღაც, მოზრდილობის ასაკში ეკლესიაში ნაკლებად დადიან.

მორწმუნეთა ჯგუფი წინა წელს ბრაზილიაში იმყოფებოდა. მათ აინტერესებდათ იმ ქვეყნების ნახვა, სადაც ვერონელი მღვდლები მოღვაწეობენ. წელს კი, როდესაც განიხილავდნენ, თუ რომელ ქვეყანაში წასულიყვნენ, მათ დაუკავშირდათ მამა გაბრიელე და შესთავაზა მოენახულებინათ საქართველო.

საქართველომ მათზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. მცხეთის, ყაზბეგის, ვარძის, ქუთაისის, რაჭის, გელათის და სხვ. ისტორიულმა ძეგლებმა და ეკლესიებმა ადაფრთოვანა იტალიელი სტუმრები. მათ, ასევე, მოილოცეს მესხეთისა და იმერეთის კათოლიკური ტაძრები.

„საქართველოში რაღაც განსხვავებული პეიზაჟებია, ის თავისი უძველესი კულტურით, უძველესი საეკლესიო და თავდაცვითი ნაგებობებით განუმეორებელ, განსხვავებულ კულტურას ქმნის“, – აღნიშნა მამა ჯუზეპემ.

ბუნებრივია, დავინტერესდით როგორი მდგომარეობაა ვერონაში სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. “ჩვენ მეგობრული და ახლო ურთიერთობა გვაქვს მართლმადიდებლებთან, რამდენიმე ეკლესიაც დავუთმეთ და კვირაობით იქ ატარებენ წირვებს; პროტესტანტებთან გვაქვს დიალოგი, შექმნილია კომისია, რომელიც განიხილავს ერთობლივი ღოცვების და ურთიერთობის საკითხებს. სხვა

დანარჩენ მიმდინარეობებთან კი არავითარი დიალოგი არა გვაქვს“, – დაუმატა მამა ჯუზეპემ.

გამომშვიდობებისას, მამა ჯუზეპემ ქართველ ხალხს უსურვა, ისეთი საზოგადოების შექმნა სადაც ეცოდინებათ ერთმანეთის მოვლა და სიყვარული და ისეთი ხელისუფლება, რომელიც თავის ხალხზე იზრუნებს, როგორც სულიერი ასევე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ქართველ კათოლიკეებს კი უსურვა სახარებისეულად ცხოვრება და უფრო გახსნილი კავშირი მართლმადიდებლებთან.

**ციცინო ხითარიშვილი**

## **ტრადიცია გრძელდება**

ივლისის დასასრულს თბილისის საკათედრალო ტაძრის კაპელა „აღელვია“ ამჯერად წეროვანის სულიერების სახლში გაემგზავრა, სადაც შესანიშნავი პირობებია შექმნილი დასვენებისა და მეცადინეობისათვის. ამჯერად ჩვენთან ერთად იყვნენ კაპელას ახალბედა წევრებიც.

ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი იყო გუნდის წევრების მომზადება ახალგაზრდული ზეიმისა და წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების დიდი დღესასწაულისათვის.

ჩვენს სულიერ ზრდაზე ზრუნავდა მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, სტუმრად გვეწვია მამა ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც საინტერესოდ და შინაარსიანად ისაუბრა სინოდის მნიშვნელობაზე. ახალგაზრდა მგალობლებმა მოამზადეს წერილობითი მიმართვა სინოდისადმი და შესთავაზეს საკუთარი მოსაზრებები გუნდის როლის შესახებ ეკლესიის ცხოვრებაში, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა გზებია მოსაძებნი ქრისტიანი ახალგაზრდების დასახლოებლად. თანაზიარებისა და ერთად სვლის მეტად საინტერესო მომენტი იყო ისიც, რომ წერილის მომზადებასა და პრობლემების გადაწყვეტის საქმეში გუნდის მართლმადიდებელი წევრებიც მონაწილეობდნენ.

შთამბეჭდავი იყო ანანურის ციხისა და ჟინვალის წყალსაცავის შემოგარენის დათვალიერება.

მთელი გუნდის სახელით მადლობას ვუხდით მეუფე ჯუზეპეს, მამა ანუეის, მამა ზურაბს და, ასევე, წეროვანის სულიერების სახლის ყველა თანამშრომელს ასეთი გულთბილი მიღებისათვის.

**რუსუდან ჩეკურიშვილი  
მარიამ ზურაბიშვილი  
ფიქრია ჭანტურია**

სინოდი

**ინტერვიუ სინოდის წევრებთან**

*ვაგრძელებთ „საბას“ წინა ნომერში დაწყებულ ინტერვიუს სინოდის წევრებთან. ამჟამად შემოგთავაზებთ „საბას“ სარედაქციო საბჭოს წევრის, ნუგზარ ბარდაველიძის, საუბარს თბილისის მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძრის საკრებულოს დელეგატ თინა კოკოჩაშვილთან და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენელ მანანა ანდრიაძესთან.*

პირველ რიგში, გილოცავთ სინოდის წევრად არჩევას და გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას. გვითხარით, როგორ გესახებათ თქვენი თავი სინოდის წევრად? აქტიურად დაიცავთ თქვენს შეხედულებებს, შეეცდებით იბრძოლოთ თქვენი პოზიციისათვის, თუნდაც უმცირესობაში აღმოჩნდეთ, თუ მხოლოდ უმრავლესობის მოსაზრებებს დაუჭერთ მხარს?

**თინა კოკოჩაშვილი:** სინოდის კომისიაში მონაწილეობამ ერთობ გამაძვირებელია მისი წევრობა. თითქმის ცხრა თვის განმავლობაში კომისიაში ვმუშაობდი და ეს მისია უკვე გავითავისე, რომელიც ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლოდ და მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჩემს გადაწყვეტილებებში ვეცდები ვიყო პრინციპული და ღმერთს ვთხოვ, მომანიჭოს სულიწმიდის მაღლი სესიების მიმდინარეობის მთელ პერიოდში.

**მანანა ანდრიაძე:** სინოდს მეც წარმატებულ მუშაობას ვუსურვებ. მისი წევრობა ყველასათვის დიდი პატივია. იმის გაცნობიერება, რომ ჩემს სიტყვას შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკლესიის მომავალ ცხოვრებაზე, დიდი პასუხისმგებლობით მავსებს. ამიტომაც შევეცდები, ჩემი შეხედულებები გააზრებულად, დასაბუთებულად და არგუმენტირებულად იყოს. თუ მაინც უმცირესობაში აღმოვჩნდი, უმრავლესობის აზრს არ დაეუპირისპირდები, თუმცა, შესაძლოა, ეს მხოლოდ გარეგნული მორჩილება იყოს, რადგან, თუ რამე ღრმად მჯერა, ძალიანაც რომ მოვიინდომო, თავს ვერაფერს მოვუხერხებ, შინაგანი განწყობითა და ჩემი ცხოვრების წესით მაინც საკუთარი რწმენის ერთგული დავრჩები.

თქვენ პირადად რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, რომლის გადაჭრაშიც აქტიურად ჩაებმებით და იქნებით უკომპრომისო?

**მანანა ანდრიაძე:** როდესაც ანკეტის პასუხებს გავეცანით და შევაჯამეთ, არ მომეწონა უმრავლესობის აზრი, რომ კარგი იქნება, თუ რელიგიურ დღესასწაულებს საქართველოს მართლმადიდებლებთან ერთად აღვნიშნავთ. მე ამას პრინციპულად არ ვეთანხმები. კათოლიკე მარტო იმიტომ კი არა ვარ, რომ ჩემი წინაპრების გზას ვაყვები, მე სრულიად შეგნებულად და გაცნობიერებულად ვარ კათოლიკე. მართლმადიდებლებსა და ჩვენს შორის არსებულ განსხვავებას ჩემთვის ფორმალური

მნიშვნელობა რომ ჰქონდეს, მერწმუნეთ, დიდი ხანია მართლმადიდებელი ვიქნებოდი, რადგან ჩემთვის ნამდვილად არ არის უმნიშვნელო, რწმენით ერთიანობაში ვიყო ჩემი ერის უმრავლესობასთან. საქმე ისაა, რომ თვით სამშობლოს სიყვარულიც კი ვერ დადგება ჭეშმარიტებაზე და ღმერთზე მაღლა. მე არც ახალი, გრიგორის, კალენდრის სიზუსტესა და აუცილებლობაში მეპარება ეჭვი და ისიც კარგად ვიცი, რომ კათოლიკეები შობასა და აღდგომას სახარებისა და უძველესი ტრადიციის გათვალისწინებით აღნიშნავენ, ამიტომ მათში კორექტივის შეტანა გაუმართლებლად მიმაჩნია. თუ საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნისას ზუსტი თარიღია აუცილებელი, რატომ უნდა მოვეკიდოთ განურჩევლად ქრისტეს შობის დღესასწაულს?

მე ნაკლებად მაღელვებს ის დისკომფორტი, რასაც საერთო ეროვნული სადღესასწაულო განწყობიდან ამოვარდნა და უმცირესობაში ყოფნა იწვევს, ჩემთვის მთავარია – რა მწამს და რატომ.

**თინა კოკჩაშვილი:** კითხვარების შედეგების დამუშავებისას, ბევრი პრობლემა გამოვლინდა, მაგრამ საბოლოოდ გამოიკვეთა სამი ძირითადი თემა, რაც კომისიის დიდი მუშაობის შედეგია. ვფიქრობ, რომ სამივე თემა ჩვენი სინამდვილისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

**სინოდის დევიზი:** „ვიართო ერთად“ მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, სად უნდა მივიდეთ ერთად სიარულით, ანუ რა არის თქვენთვის ამ ერთად სვლის საბოლოო მიზანი?

**მანანა ანდრიაძე:** „ვიართო ერთად“ ჩემთვის ნიშნავს ქრისტეს მიერ ნაჩვენები გზით სიარულს იმათთან ერთად, ვინც ცხოვრებას ღმრთისა და მოყვასის უანგარო სიყვარულით, ასევე – თავდადებით ემსახურება სიმართლეს. ასეთი აღამიანები სხვა კონფესიისა თუ რელიგიების აღმსარებლები რომ იყვნენ, მაინც ქრისტესმიერნი არიან და, რა თქმა უნდა, მათთან თანხმობაში ყოფნა აუცილებლობაცაა და ბედნიერებაც. საბოლოო მიზანი ერთიანობისა, ხსნა და ცხოვნებაა, რომელიც, ჩემი რწმენით, არ მოვა მათთან, ვისაც არ სურს და არ იღწვის ქრისტეს სხეულის გამთლიანებისათვის, „რათა იყოს ერთი მწყემსი და ერთი სამწყესო“.

**თინა კოკჩაშვილი:** ესომ თქვა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოან. 14, 6). აი, ეს არის ჩვენი ერთად სვლის საბოლოო მიზანი. ღმერთმა დაგვლოცოს ამ ერთად სვლაში.

**თქვენის აზრით, რა იქნება ის მთავარი პოზოტიური შედეგი, რაც უნდა მოჰყვეს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის პირველ სინოდს?**

**თინა კოკჩაშვილი:** ეკლესია არ არის მუზეუმი, იგი ცოცხალი ორგანიზმია. ისტორიულად მისი განვითარების გზაზე იყო აღმავლობაც და დაღმავლობაც. ჩვენს ეკლესიას ამჟამად უჭირს და ამ გაჭირვებაში

ჩვენ უნდა გავმაგრდეთ, გაკლიერდეთ და გავერთიანდეთ, მაშინ, გარწმუნებთ, რომ დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს.

**მანანა ანდრიაძე:** პირველი სინოდი ადამიანებს მისცემს იმის განცდას, რომ ეკლესიისათვის თითოეული ადამიანი ღირებულება და მათი აზრი – ანგარიშგასაწევი. სინოდის მთავარი ამოცანაა: ერთად ღმრთისა და მოყვასისაკენ!

საუბარი ეპისკოპოსთან

## მეუფე ჯუზეპე პაზოტო უპასუხებს მკითხველებს

*მეუფე ჯუზეპე,*

*მოგმართავეთ კითხვით, რომელზეც პასუხი თავად ვერ ვიპოვე.*

*ვიცი, ბევრს აღაშფოთებს ის ფაქტი, რომ მე, მართლმადიდებელი დედა, უფლებას ვაძლევ ჩემს შვილებს – 8 წლის მარიამსა და 13 წლის მზიას – გახდნენ კათოლიკეები. ძნელია დააჯერო ზოგიერთი, არაკეთილმოსურნედ განწყობილი პიროვნება, რომ ბავშვებმა თავად აირჩიეს ეს გზა. აქამდე კი რამდენიმე ფაქტორმა მიიყვანა ისინი. ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს, შემძლია მხოლოდ ბოლო ფაქტი გავიხსენო: ჩემს შვილებთან ერთად ხუთი წლის განმავლობაში „ვცხოვრობდი“ საავადმყოფოს პალატაში, მათი შორის ერთი წელი – ისეთ შენობაში, სადაც არ იყო არც წყალი, არც შუქი, არც კანალიზაცია (შემდეგში ყველაფერი ჩემი სახსრებით გაგაკეთე; პატრიარქის მდივანთან გავზავნილ თხოვნაზე, იატაკის ფიცარი მაინც მოეცათ, უარით მიპასუხეს). რამდენჯერმე თხოვნით მივმართე საპატრიარქოს, გაეწია ხელისუფლებასთან შუამდგომლობა, მაგრამ ამაოდ. ყოველგვარ თხოვნაზე უარით მისტუმრებდნენ. ძალზე შერყეული მაქვს ჯანმრთელობა (მჭირდებოდა გადაუდებელი ოპერაცია). მშველელად ღმერთმა კამილიელები მომივლინა და პოლიკლინიკაში „კაცთა მაცხოვარ“-ში სათანადო დახმარება გამიწიეს, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვწირავ. ბავშვები ყველაფერს საკუთარი თვალთ უყურებდნენ. ისინი ხედავდნენ, როგორ ღიზიანდებოდნენ მართლმადიდებელი მღვდელმსახურები და დამხმარე პერსონალი, როდესაც „არ შეეძლოთ“ (უფრო სწორად სურვილი არ ჰქონდათ), საკუთარ მრევლს დახმარებოდნენ, ხოლო სხვები ქრისტესმიერი სიყვარულით ეხმარებიან ყველას, ვინც ამას საჭიროებს. ღმრთის სიყვარულით აღვსილი ადამიანი ამას დიდ მადლად უნდა მიიხსენებდეს, პირიქით კი არის, მავანნი ცდილობენ შუღლი და მტრობა ჩამოავდონ ქრისტეს ეკლესიაში. მხედველობაში მაქვს დაპირისპირება კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რაც, სამწუხაროდ, უფრო ღრმავდება.*

*მეუფე ჯუზეპე, გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ ასეთი მიდგომა და აპირებთ თუ არა რაიმე კონკრეტული ღონისძიების გატარებას, რომელიც შემრიგებლურ პოზიციას განამტკიცებს?*

ქალბატონო ხათუნა,

ნამდვილად არ მახარებს ამბავი, რომელსაც მატყობინებთ: ნებისმიერი უარი ჩვენს ძმათა მხრიდან, განსაკუთრებით, თუ ისინი ეკლესიაში მოღვაწეობენ, კვალს ამჩვევს ჩვენს ცხოვრებას, მით უმეტეს, როდესაც დახმარება სასწრაფოდ და აუცილებლად გვესაჭიროება. მაგრამ, ასევე უნდა გითხრათ, რომ არასოდეს არ უნდა განვაზოგადოთ: მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ იმ ადამიანებისგან არ შედგება, რომლებმაც თქვენ ცხვირწინ კარი მოგიხურეს. სამწუხაროდ, მსგავსი სიტუაციები ნებისმიერ ეკლესიაში შეიძლება მოხდეს. ერთი რამ ცხადია: თქვენი წერილის წაკითხვისას კიდევ ერთხელ ვაცნობიერებთ, რომ სიყვარული, ქცეული კონკრეტულ სიყვარულად (გავიხსენოთ წმ. იოანეს სიტყვები საშინელი სამსჯავროს შესახებ: მშვიოდა და დამაპურეთ...), ქრისტიანის უპირველესი და უდიდესი განმასხვავებელი ნიშანია. ყველაფერი ჩაივლის, ასევე რწმენაცა და იმედიც, მაგრამ სიყვარული არ ჩაივლის, წერს წმ. პავლე კორინთელებს (12, 1; 1 5).

კამილიელი მამების, ვისაც შეხვდით და ემადლიერებით, ძირეული მისია ავადმყოფთა სიყვარული და მსახურებაა, მაგრამ ყველამ, ვინც კათოლიკე ეკლესიაში გულმოწყალებას ემსახურება (მაგალითად, დედა ტერეზას დები, „კარიტასი“), იცის, რომ ღარიბთა მსახურებასა და დახმარებაში ანგარება დაუშვებელია. რამე პირადი ინტერესის გამო ღარიბთა დახმარება მძიმე ცოდვაა! ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, რომ მათგან, ვინც დაგეხმარათ, არავის უთხოვია სანაცვლოდ კათოლიკობის მიღება ან კათოლიკე ეკლესიაში შეიღების მონათვლა. ეს პროზელიტიზმი იქნებოდა და ეს ეწინააღმდეგება ჩვენი ეკლესიის მრწამსსა და სამწესო საქმიანობას. თუ თქვენ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება (და, როგორც თავისუფალ ადამიანს, სრული უფლება გქონდათ, ასე მოქცეულიყავით), დარწმუნებული ვარ, ეს ფიქრისა და განსჯის შემდეგ გააკეთეთ, თქვენი შეიღების სიყვარულითა და ჭეშმარიტებით აღზრდის განზრახვით. ვლოცულობ, რათა თქვენმა შეიღებმა, რომელნიც, საბედნიეროდ, მოსიყვარულე ადამიანებს შეხვდნენ ცხოვრების გზაზე, თავად ისწავლონ და ისურვონ გახდნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ ცხოვრებაში იესოს დიდ მცნებას ამოწმებენ: გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი. ეს უმთავრესი რამეა ქრისტიანობაში და ამას ამოწმებდა სიკვდილამდე თავად იესო.

დაე, ეს ყველა ქრისტიანული ეკლესიის ვალდებულებად იქცეს: თუკი ყველა ქრისტიანი (კათოლიკე, მართლმადიდებელი, ევანგელისტი) საკუთარი ცხოვრების შუაგულში სიყვარულის მცნების

დამკვიდრებას ეცდება, ეკლესიათა შორის ერთიანობა სწრაფად იქცევა რეალობად და აღარ იქნება მხოლოდ ოცნება.

*მეუფე ჯუზეპე,*

*მინდა მოვმართო კითხვით, რომელიც დიდი ხანია მაწვალებს და სწორ პასუხს ვერ ვპოულობ: ჩაითვლება თუ არა პიროვნება კათოლიკე ეკლესიის სრულყოფილებიან წევრად, თუ ის არ იზიარებს ამ ეკლესიის ზოგიერთ დოგმას, მაგალითად, წმიდა მარიამის ზეცად აღყვანებას?*

მარიკა  
თბილისი

ძვირფასო მარიკა,

რწმენის შინაარსი აუცილებელი და სხვა მნიშვნელოვანი, მაგრამ არა აუცილებელი საკითხებისგან შედგება. მრწამსში თავმოყრილია ის, რაც უპირველესად და აუცილებლად უნდა იწამოს ადამიანმა, რომელსაც სურს, ქრისტიანი იყოს. ისტორიის მანძილზე ტრადიციამ გაამდიდრა რწმენის შინაარსი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმის ცოდნა და რწმენა გვევალება, რაც ეკლესიამ დოგმატურ ჭეშმარიტებად (ანუ, რწმენისთვის აუცილებლობად) აღიარა.

მაგალითად, ქრისტიანი არ არის ვალდებული, ირწმუნოს, რომ ღმრთისმშობელი ლურდში ან ფატიმაში გამოცხადდა და ეს არც არის დოგმა (თუმცა, არსებობს ცხადი მტკიცებულებები, რომ ეს მოხდა და ამის რწმენა შეიძლება მნიშვნელოვნად დაეხმაროს ადამიანს ქრისტიანულ ცხოვრებაში). ქრისტიანს იმის რწმენა მოეთხოვება, რაც დოგმად არის აღიარებული.

მაშასადამე, ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანება, რაც პაპმა 1950 წელს გამოაცხადა დოგმად, უნდა ვირწმუნოთ და საწინააღმდეგო ქმედება კათოლიკურ რწმენას არ შეეფერება. ამდენად, ადამიანი ვერ იტყვის, რომ იგი ნამდვილი (სრულფასოვანი) კათოლიკეა, თუკი ეს დოგმა არ სწამს.

კათოლიკე ეკლესიის საყოველთაო კატეხიზმში მითითებულია დოგმები, რომლებიც უნდა ვირწმუნოთ. ისიც უნდა გვახსენდეს, რომ ყველა დოგმას ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს რწმენისთვის. კატეხიზმში წერია, რომ „კათოლიკურ დოქტრინაში არსებობს ჭეშმარიტებათა წესრიგი, ანუ „იერარქია“, რადგანაც მათი კავშირი ქრისტიანული რწმენის საფუძველთან სხვადასხვაგვარია“ (90).

დასასრულ, დავამატებ, რომ ნეტარი ქალწული მარიამის ცად აღყვანების დოგმა, რომელიც ჩვენს საკათედრო ტაძარშიც აღინიშნება, ნამდვილად მშვენიერი ამბავია, რომელიც გვახსენებს, რომ, მარიამის მსგავსად, მარადიული დანიშნულებისთვის ვართ მოხმობილნი. ჩვენი სრული განხორციელება, ჩვენი ჭეშმარიტი და ნამდვილი სიცოცხლე მარადიულობაშია და მისთვის უნდა ვიზრუნოთ და ვიღვაწოთ. ქრისტეს მსგავსად – მარიამის, მარიამის მსგავსად კი – ჩვენი ნამდვილი სიცოცხლე მარადისობაა.

## მიხეილ თამარაშვილისა და ივანე გვარამაძის ურთიერთობა

*16 სექტემბერს აღინიშნება დიდი ქართველი კათოლიკე მღვდლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსისა და მეცნიერის, მამა მიხეილ თამარაშვილის ხსოვნის დღე. ამ წერილით, რომელიც სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელმა, ნატო ყრუაშვილმა მოგვაწოდა, გვინდა პატივი მივაგოთ მის ხსოვნას.*

XXI საუკუნის გადასახედიდან კიდევ უფრო ნათლად იკვეთება ორი დიდი მამულიშვილის: მიხეილ თამარაშვილისა და ივანე გვარამაძის ღვაწლი და დამსახურება თავიანთი კუთხის, სამშობლოსა და ერის წინაშე. მათ საკუთარი მხრებით ზიდეს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელი სიმძიმე. ბედისწერამ მათ, ერთმანეთის მხარდამხარ, ქართველ კათოლიკეთა დაცვა, წარსულის კვლევა და ქვეყნის წინსვლისათვის ბრძოლა დააკისრა.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მივამყრთ ამ ორი დიდი პიროვნების ურთიერთობაზე, რის საშუალებასაც იძლევა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მდიდარი არქივი და გვარამაძისადმი მიხეილ თამარაშვილის მიერ გამოგზავნილი 60-დე წერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალები ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

ივანე გვარამაძისა და მიხეილ თამარაშვილის ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც პატარა მიხეილი იოანე ნათლისმცემლის ე. წ. „ქვემო ეკლესიის“ სკოლაში მიაბარეს. მოგვიანებით ივანე გვარამაძე წერდა: „საგანგებო წვრთნა დაეუწყე მას, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა“.

მიხეილ თამარაშვილს თავის მასწავლებელთან ურთიერთობა და თანამშრომლობა მას შემდეგაც არ გაუწყვეტია, როცა იგი კავკასიის კათოლიკე ეკლესიის ვიზიტატორმა მაქსიმე არლოვსკიმ 1891 წელს გააძევა საქართველოდან. უფრო მეტიც, მოძიებული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძემ დიდი წვლილი შეიტანა თამარაშვილის საზღვარგარეთული საქმიანობის მიმართულების განსაზღვრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თამარაშვილის საქმიანობის სფერო და მიმართულება განაპირობა XIX საუკუნის საქართველოში ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის გაუარესებამ. კერძოდ, მეფის რუსეთმა, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ხელმძღვანელობდა: ქართველი კათოლიკეები სომხებად გამოაცხადა, რითაც რეალურად

შეუწყო ხელი მათ ეროვნულ გადაგვარებას. ამიტომ საჭირო გახდა ქართველ კათოლიკეთა ქართველობის დასაბუთებაც და დაცვაც. ეს მისია დაეკისრა მიხეილ თამარაშვილს, რამდენადაც მას მიღებული ჰქონდა უმაღლესი სასულიერო განათლება, ფლობდა ევროპულ ენებს და ხელი მიუწვედებოდა ევროპის სახელმწიფოთა არქივებზე.

მიხეილ თამარაშვილი ივანე გვარამაძისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში თავის აზრს უზიარებდა წიგნის – „ქართული ეკლესიის ისტორიის“ შესახებ: „გონებ შარშან მოგწერე, სიცილიაში აღმოვაჩინე მისიონერების მიერ დახატული სურათები საქართველოს მთავრების, ეკლესიებისა და სხვ. წრეულს კიდევ წავედი და დიდის შრომით და ხერხით შევიძინე ყველა. 137 ფოტოგრაფია გადავადებინე სურათებისა და ამით საქართველოს კვლავ შევიძინე საინტერესო განძი. ეს სურათები ჩემი პირველი წიგნის დაბეჭდვის წინეთ რო აღმომჩინა და მასში ჩამერთო ყველა თავის ადგილას და საჭირო განმარტებით, მაშინ ჩემს წიგნს ფასი აღარ ექნებოდა. კიდევ კარგია ახლა მოვუსწარი, თვარა ისიც მერე დაიღუპებოდა საქართველოსათვის... ადრე ჩემს მიერ გამოქვეყნებული წიგნები ამ წიგნთან მოსატანი და სახსენებელნიც არ არიან“...

„გიცხადებთ ჩემს დიდ მადლობას მაგ თქვენი პატივისცემისათვის. უწყოდეთ, რომ სამუდამოდ ვიქნები თქვენგან დავალებული და პატივისმცემელი... ხომ იცით, მანდ თქვენს მეტი ერთგული და მისანდო პირი არ მყავს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ თამარაშვილი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა ივანე გვარამაძის რეკომენდაციით ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილ ქართველ ბავშვებს.

ორი მამულიშვილის თანამშრომლობა მათ, თითქმის ერთდროულ, სიკვდილამდე გაგრძელდა. ივანე გვარამაძეს ეამაყებოდა და ეიმედებოდა თავისი მოწაფის შრომა-საქმიანობა. მისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა მიხეილის უცაბედი სიკვდილის ცნობა: „მაშინვე კალამი ხელითგან გამივარდა, თავზარი მეცა, თავბრუ დამეხვა, გამიშრა სისხლი, გულ-ღვიძლზედ შხამგესლით აქაფებული კაეშანი გარდამესხა და მეტად გამიმწარდა უმისოდაც დანადვლიანებული და დაშხამული სიცოცხლე... ეს რაღაც უბედურება იყო ჩემს თავზედ, არ მეყოფოდა ჩემი სამშობლო მამულის უშველებელი ჯავრი, ნადველი, რის გამოც ჩემი თავი დავიწყებული მაქვს და დღე და დამ უნუგეშოდ დავსტირი“. ივანე გვარამაძე იმის გამოც წუხდა, რომ არ ეგულებოდა მიხეილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი: „მუხლებს ვიტყუებ და თავში ვიცემ, რომ აღარავინ მეგულება მისი მომაგიერე, მისებრ განათლებული. რომ ცოტა კიდევ ეცოცხლა, ვინ იცის რომის და ევროპის საწიგნებში რამდენს დიდ სასარგებლო ისტორიული ცნობებით როგორ განგვიმდიდრებდა და გაგვიმაგრებდა წელს-ზურგსა“.

ამ ორი ღირსეული მამულიშვილის მოღვაწეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. უმთავრესი შედეგი კი ის გახლდათ, რომ მათ ჯერ თურქეთის და შემდგომ რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფ, სამცხე-ჯავახეთის სარწმუნოებრივად სამ ნაწილად გათიშულ ქართველ მოსახლეობაში შეძლეს მიძინებული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება და დაცვა,

რითაც თავიდან აიცილეს ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხე. ქართველ მოსახლეობაში ყოველივე ქართულის დაცვა-შენარჩუნება კი ამ კუთხის შენარჩუნების ტოლფასი გახლდათ.

## ნატო ყრუაშვილი

ეკუმენური გვერდი

### ყველაზე ძვირფასი საჩუქარი

#### საერთაშორისო ბიბლიური საზოგადოების პროექტი პირველად მესხეთის საკრებულოებში განხორციელდა

საქართველოს ბიბლიური საზოგადოება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან არსებობს ანუ იგი ასაკით დამოუკიდებელი საქართველოს თანატოლია და ამ მცირე დროის მანძილზე საზოგადოებამ არც თუ ისე მცირე წვლილი შეიტანა ქართულ ენაზე ღმრთის სიტყვის თარგმნის, გამოცემისა და გავრცელების საქმეში. იგი კვლავაც აგრძელებს ამ ღმრთივსასურველ საქმეს. გარდა უშუალოდ ბიბლიისა, თარგმნილი და გამოცემულ იქნა ბიბლიასთან დაკავშირებული სხვადასხვა წიგნები: ლექსიკონები, ცნობარები, მეგზურები და სხვ. ამჟამად საქართველოს ბიბლიური საზოგადოება ემზადება ყველაზე სერიოზული და შრომატევადი პროექტის განსახორციელებლად – უახლოეს ათწლეულში უნდა მომზადდეს სრულიად ახალი, ცხადია რედაქტირების თვალსაზრისით, თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი, შესწორებული (სპეციალური ტერმინოლოგიის თვალსაზრისით), ილუსტრირებული ბიბლიის სრული ტექსტი. მანამდე კი საზოგადოება ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით, ყოველდღიური საქმიანობისთვისაც იცლის და ცდილობს ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ბიბლიით დაინტერესებულ ყოველ ადამიანს.

მაისში, როდესაც ინსტიტუტ „საბასა“ და ჟურნალ „საბას“ ინიციატივით რელიგიათმცოდნეთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა, მასში მონაწილე საქართველოს ბიბლიური საზოგადოების დირექტორმა ბატონმა ავთანდილ გურულმა პირად საუბარში განაცხადა, რომ ზაფხულში, ჰოლანდიის ბიბლიური საზოგადოების მხდაჭერით, იგეგმებოდა საქართველოს ძნელადმისასვლელ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ქართული ბიბლიით დასაჩუქრება (გასულ წელს უცხოეთში მცხოვრები სომხების დახმარებით მესხეთ-ჯავახეთის მთიანი სოფლების სომეხ მოსახლეობას საჩუქრად სომხური ბიბლიები გადაეცა). ამ იდეით მოხიბლულმა, ბატონ ავთანდილს ვთხოვე, პირველ რიგში, მესხეთის მთიანი მოსახლეობიდან დაგვეწყო პროექტის განხორციელება, რაზეც, უცხოელ სპონსორებთან შეთანხმების შემდეგ, თავაზიანი თანხმობაც მივიღე და ივლის-აგვისტოს თვეებში კიდევაც განვახორციელეთ.

კათოლიკე ეკლესიის მხრიდან, პროექტის განხორციელების ორგანიზაციულ საკითხებს ხელი შეუწყეს წმიდა კამილოს ორდენის

წევრებმა: მამა აკაკი ჭელიძემ და მამა პავლე დიღმა; მესხეთში მოღვაწე სხვა მღვდელმსახურებმა: მამა იეჟი შიმეროვსკიმ და მამა არტურ გარბესკიმ.

ახალციხის და ადიგენის რაიონებში სამდღიანი სტუმრობის დროს ბიბლიით დაინტერესებულ ოჯახებს და ცალკეულ მორწმუნეებს, მღვდლებსა და კატეხისტებს საჩუქრად გადაეცათ: ქართული ბიბლიები, ახალი აღთქმა და ფსალმუნები, იოანეს სახარება, ბიბლიის კარი, ბიბლია ინგლისურ ენაზე, ასევე, სომეხ მორწმუნეებს – სომხურენოვანი ბიბლია. სულ 5000 ლარის ღირებულების წიგნები.

სამივე დღე მეტად საინტერესო და დატვირთული იყო, იგი დაიწყო სოფელ არალში მამა იეჟისთან შეხვედრით, რომელმაც საინტერესო კომენტარები და შენიშვნები გააკეთა ბიბლიის ახალ რედაქციასთან დაკავშირებით, რითაც ძალიან გააკვირვა ბატონი ავთანდილი. ბიბლიური საზოგადოების დირექტორი მეტად კმაყოფილი და მოხიბლული დარჩა სხვა კათოლიკე მღვდლებთან შეხვედრითაც. იგი დარწმუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არც თუ ისე დიდი ხნია რაც საქართველოში მოღვაწეობენ, საკმაოდ საფუძვლიანად ფლობენ ქართულ ენას და ბიბლიის ორიგინალებთან ასევე, სხვადასხვა უცხოურ თარგმანებთან ქართული ბიბლიის შედარება მათ საშუალებას აძლევთ კარგად გაერკვნენ ბიბლიის ახალი ქართული თარგმანის თავისებურებებში და აქა-იქ გაპარული უზუსტობანიც აღმოაჩინონ. იგი იმაშიც დარწმუნდა, რომ საქართველოს კათოლიკე საკრებულოებში სისტემურად კითხულობენ ბიბლიას, უყვართ და აფასებენ ბიბლიური საზოგადოების წვლილს თანამედროვე ქართულ ენაზე ღმრთის სიტყვის პოპულარიზაციაში.

არლის შემდეგ აბასთუმანში საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკისკენ გავემგზავრეთ, გზად კი სოფელ ბენარის საკრებულოს ვესტუმრეთ, სადაც კამილიელი მღვდელი მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯი ღმრთისმსახურებას ატარებდა. ბენარის საკრებულოს წევრების ბიბლიებითა და სხვა წიგნებით დასაჩუქრების შემდეგ აბასთუმანში სამხრეთ საქართველოდან შეკრებილ კათოლიკე ბავშვებს ვესტუმრეთ. ასზე მეტ ბავშვს ახალგაზრდა მღვდლები: მამა აკაკი, მამა არტური და კატეხისტები ხელმძღვანელობდნენ. მათი დახმარებით ბავშვები ამ მშვენიერ კურორტზე მოწყობილ კამპოსკოლაში საღმრთისმეტყველო სწავლებას ჰარმონიულად უთანხმებდნენ ლაშქრობებსა და გართობათამაშობებს. მათ მშვენიერი შეხვედრა მოგვიწყეს: გვიჩვენეს თავიანთი შემოქმედება, ვალეს საკრებულოს მგალობლებმა კი კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მათ ბადალი არა ჰყავთ. საჩუქრად ბავშვებმა იოანეს სახარება მიიღეს, კატეხისტებმა კი – ბაჩელორის „ბიბლიის კარი“.

აბასთუმანში გვიანობამდე დავრჩით, თითქმის ბინდებოდა, თანაც საკმაოდ დაღლილები ვიყავით მგზავრობისა და ემოციებისაგან, მაგრამ მამა არტურის მეგზურობით ზეკარის უღელტეხილის გადაღმა მდებარე სოფელ ივლიტის საზაფხულო იალადებს ვესტუმრეთ. სიბნელისა და სქლად ჩამოწოლილი ნისლის მიუხედავად, მამა არტურმა შეკრიბა იქ მყოფი ივლიტელი მორწმუნეები, როგორც მართლმადიდებლები, ასევე, კათოლიკეები და მანქანის ფარების შუქზე, ბიბლიური საზოგადოების

ყურადღებით გაცემულ და გახარებულ ადამიანებს საჩუქრად ახალ ქართულ ენაზე გამოცემული ბიბლიები გადავეცით. გვიან ღამით კი, როდესაც კვირა თენდებოდა, უდეს ვესტუმრეთ... ღამე „საბას“ ერთ-ერთ კორესპონდენტთან გავატარეთ და დილით უდეს ორივე საკრებულო მოვინახულეთ. საკვირაო წირვაზე შეკრებილ კათოლიკე მორწმუნეებს მამა პავლე დილმა ჩვენი თავი წარუდგინა და ჩვენი ჩამოსვლის მიზანიც გააცნო. საჩუქრების გადაცემის შემდეგ მოვინახულეთ უდეს დიდი ტაძარი, რომელიც 19 წლის წინ შეცდომით მართლმადიდებლებს გადაეცათ. ეს ტაძარი 1904-06 წლებში აშენდა უდელი კათოლიკეებისა და ტომით ქართველი მუსულმანების მიერ, რაც იმ საუკუნის ტოლერანტობაზე მიგვითითებს, როცა მართლმადიდებლურ იმპერიაში დაპყრობილი ხალხები ერთმანეთს ეკლესიების აგებაში ეხმარებოდნენ და არანაირ რელიგიურ დაპირისპირებას არ გრძნობდნენ, ახლა კი, სანამ ტაძარს ვათვალიერებდით, თან გვდევდა ჩვენზე ადევნებული რამდენიმე ადამიანის შიშით, უნდობლობით და ეჭვიანი მხერით ადვისილი თვალები. მათ, თავიანთი აზრით, მკაცრი, პრევენციული კითხვა დაგვისვეს, – „საიდან ხართ?“ – და როდესაც პასუხად მიიღეს, – „თბილისიდან“, – ოდნავ დაწყნარდნენ. მათი აზრით, საფრთხე დადაქალაქიდან არ შეიძლება წამოსულიყო. აი, ევროპის რომელიმე ქალაქი რომ დაგვესახელებინა, ალბათ ტაძრის „მანდატურებს“ აგრე იოლად თავს ვეღარ დავაღწევდით. ცხადია, ადვილი წარმოსადგენია უდელ კათოლიკეთა ტკივილი, როდესაც მშობლიურ ტაძარში არ უშვებენ ლოცვისათვის, მაგრამ, დამერწმუნეთ, უფრო მეტი ტანჯვაა მუდამ შიშში, ეჭვებში და სინდისის ქენჯნაში ცხოვრობდე, როდესაც სულის სიღრმეში გრძნობ, რომ სხვისი ტაძარი ძალისმიერი გზით გაქვს მისაკუთრებული და ყველა უცხო ადამიანში მის კანონიერ მფლობელს ღანდავ.

უდედან კვლავ მესხეთში კათოლიკური რწმენის ურყეობის სიმბოლოდ წოდებულ არალს ვესტუმრეთ, სადაც ახალგაზრდებთან შეხვედრა გველოდა. მეორე დღეს კი აჭარისწყლის უმშვენერიესი ხეობის გავლით დასავლეთ საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორის ვიკარიუსს, მეუფე გაბრიელე ბრაგანტინის და ქუთაისში განლაგებულ წმ. სტიგმელთა ორდენს ვესტუმრეთ. ბიბლიის ახალი ქართული რედაქციის ახალ ვერსიებზე საუბარი მხცოვან სწავლულთან და მოძღვართან, მამა ლუიჯი მანტოვანთან გავრძელდა. მან ბატონ ავთანდილს გააცნო თავისი წინადადებები რელიგიური ტექსტების გათანამედროვეებასთან დაკავშირებით და თანადგომა აღუთქვა დასავლეთ საქართველოში კათოლიკეთათვის ბიბლიური წიგნების მიწოდებაში.

თბილისში დაბრუნებისას ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ მოხოვა, მადლობა გადამეცა ბიბლიური საზოგადოების მესვეურთათვის ძნელადმისასვლელ სოფლებში მცხოვრები კათოლიკეებისათვის გამოჩენილი უანგარო ზრუნვის გამო.

უდემიც, არალშიც და, განსაკუთრებით, მაღალმთან საძოვრებზე მყოფი ადამიანებისათვის მთავარი საჩუქარი ეს იმის შეგრძნებაა, რომ

ისინი ახსოვთ და მათზე ფიქრობენ, – განაცხადა ეპისკოპოსმა. და არ შეიძლება არ დაეთანხმო მის სიტყვებს.

ეპისკოპოსის მადლობას უერთდება ჟურნალ „საბას“ სარედაქციო კოლეგია და მადლობას უხდის საქართველოს ბიბლიურ საზოგადოებას ამ აქციისათვის, ასევე მადლიერია მესხეთში მოღვაწე სასულიერო პირებისა და „საბას“ უძველი კორესპონდენტის – მარინა ადლემაშვილისა ბიბლიური საზოგადოებისათვის აქტიური მხარდაჭერისათვის.

რაც მთავარია, ეს აქცია პირველი იყო, მაგრამ იგი ერთჯერადი არ იქნება და მესხეთის, ჯავახეთის და სხვა, ძნელად მისადგომი, რეგიონების მოსახლეობას საქართველოს ბიბლიური საზოგადოება საშუალებას მისცემს, ეზიაროს ღმრთის სიტყვას – ახალ ქართულ ენაზე გამოცემული ბიბლიის მეშვეობით.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

**პოეზიის გვერდი**

**გივი ალხაზიშვილი**

## **ტერეზა კალკუტელს**

*ბაგეები გულის სისავსით ლაპარაკობენ.  
დედა ტერეზა*

გულის სისავსით მეტყველებენ ეგ ბაგეები,  
ის არ იცვლება, ვინც იპოვა მარად ცვალებად  
დროში საყრდენი  
და შეიხიზნა შეიღებივით ღამის შუქები,  
ზეცის ტაძრები, მლოცველები და მოსაყდრენი.

მაინც მოხდება, რაც ქვიშაზე ერთხელ ეწერა,  
მერე წაშალა, ხსოვნაში კი დარჩა ყოველი  
და მოსახდენი  
დაელოდება საიდუმლოს, ანუ თავის ჟამს,  
როცა გულიდან გულის სიტყვით ამოსახლდება.

შესაბრალია, ვინც ამო ღოდინს შეაცვდა  
ხორციით და ძვლებით და უკეთეს ყოფის სურვილმა  
ასე დაშრიტა,  
ელამუნება ათასწლოვან ნაბზარ სახეებს  
მხურვალე სუნთქვა, მოღწეული აფრის გაშლიდან.

ჩვენც ნამცეც-ნამცეც და წვეთ-წვეთად შევიკრიბებით,  
რათა სიტყვითა ხმოვნებიდან ამოვიხედოთ,  
ხსოვნის მარცვლებად,

რომელთაც შეძლეს საკუთარი კალოს გაღვეწვა  
და დღიდან დღეში სინანულით გადანაცვლება.

გამჭვირვალეა გული, ისე გამჭვირვალეა,  
რომ სასუფეველს აღმოაჩენ – გულის სისავსით  
ამეტყველდები,  
მიეფერება გაზაფხული მფშვინავ ნახნავებს  
და სიმწვანისკენ ფეხაკრეფით წავლენ ბელტები.

ეს დინებაა უნებლიე წუთს რომ აღრმავებს  
და ოდნავ ღია სარკმელიდან ყრმა იხედება,  
გულის ძაფებით  
ჩვენ მიბმულნი ვართ დასაბამის უსასრულობას  
და შემკრთალები დაუშრეტელ დღეს ვეწაფებით.

30 აპრილი, 2006

### სადამოს ლოცვა

ქრება ბოლო სიტყვა გულში თქმული ლოცვის –  
ყვავილთან ფარფატი პეპლის  
ფრთებია დუმილის, ხილული წამია  
ჩემში ჩაბნეული ფერფლის.

უცხო სახეები, მზერა უთვალავი,  
მშვიდი, მგლოვიარე, მკაცრი,  
გულში შეღწეული თრთოლვა გადამდები  
უცნობ წინაპართა ნაცრის.

ფერფლის გამოხედვა და ფერფლის თითებით  
დავწვდები ჭიქას და დავცლი:  
ასე იძახოდა ოდესღაც მესკია,  
ასე იზრდებოდა გორაკზე ანწლი.

ფერფლით და ნამწვავით სავსეა საფერფლე,  
ჭერზე რომ დაცურავს ჩრდილების ფარფლია,  
ჩემი იდაყვები, შენი მოძრაობა,  
მისი გაღიძება ფერფლია, ფერფლია.

ამოდ დავშვრები სიტყვათა მძებნელი,  
ბგერებს ვაკოწიწებ, იმ ენას ვერ ვფლობ,  
რაც შენ მაგრძნობინე, სახელი ვერ დავარქვი  
შენს ჩურჩულს ბაგეთა ფერფლო.

მე დუმილს ვაგრძელებ, დუმილში ვინახავ

მრავალთა დათმენილ კენესას  
და უთქმელ სიტყვაზე აცმული მზის ძაფით  
დაკონკილ სამოსელს ვკემსავ.

3 ივნისი, 2006

ინფორმაცია

## „საბას“ კორესპონდენტების მორიგი შეხვედრა წეროვანში

გასულ წელს გაზეთ „საბას“ ჟურნალად – ყოველთვიურ მაცნედ – გადაკეთებისა და სარედაქციო კოლეგიის განახლების შემდგომ ბევრად უფრო გალამაზდა და საინტერესო გახდა კავკასიაში ჯერჯერობით ერთადერთი, პერიოდული კათოლიკური გამოცემა – ჟურნალი „საბა“. მიმდინარე წლიდან ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მთავარი ყურადღება საკრებულოების კორესპონდენტთა პროფესიულ მომზადებას ეთმობა.

30 ივლისს, წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში, წელს უკვე მეორედ, შევიკრიბეთ „საბას“ კორესპონდენტები საინფორმაციო-სასწავლო მეთოდური მუშაობისათვის. ხოლო შუალედში ახალციხეში მოეწყო სარედაქციო საბჭოს შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კათოლიკური საკრებულოების კორესპონდენტებთან.

წეროვანის შეკრებაზე მოსულმა კორესპონდენტებმა: თენგიზ პარმაქსიზიშვილმა, დოდო ნებიერიძემ, ნადია ჩიტაძემ, თეონა ტატალაშვილმა, მანანა ბაქრაძემ, მარინა აღლემაშვილმა, ნანა აღლემაშვილმა, ფიქრია მექოშვილმა, ანა ჭონიშვილმა, „საბას“ რედაქციის წევრებს: მამა გაბრიელეს, ციცინო ხითარიშვილს, ნუგზარ ბარდაველიძეს და ნატა ბიგვაგას გააცნეს სამი თვის განმავლობაში მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მამა გაბრიელემ შეაჯამა კორესპონდენტების მიერ შესრულებული საქმიანობა, შემდგომ კი უახლესი და შედარებით შორეული პერსპექტივები დაგვისახა, მოგვცა პრაქტიკული რჩევები და დავალებები.

ბატონმა ნუგზარ ბარდაველიძემ გამოგვკითხა პირველ შეხვედრაზე ჟურნალისტიკის საფუძვლებში მოცემული დავალებები, შემდეგ კი – რეპორტაჟისა და ინტერვიუს მომზადების თავისებურებები გაგვაცნო; მოკლედ მოგვითხრო საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის განვითარების საქმეში კათოლიკე ეკლესიის როლზე, გაგვაცნო ბეჭდვითი სიტყვის მოკლე ისტორია, ასევე ისაუბრა ახლახანს ბაკურიანში გამართულ ტოლერანტობის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის შესახებ.

ქუთაისის საკრებულოს წარმომადგენელმა ქნმა დოდო ნებიერიძემ ექსპრომტად ლექსიც კი მიუძღვნა ჩვენს შეკრებას, „მეამაყება, ვარ კათოლიკე“, – ასე მთავრდებოდა ლექსი. ამ ამადღებული პათოსით დასრულდა „საბას“ კორესპონდენტთა მეორე შეკრება. მომავალი

შეხვედრა შემოდგომაზე, სინოდის პირველი სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართება

წეროვანში გამართულმა „საბას“ კორესპონდენტთა შეკრებამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა ამგვარი შეხვედრების საჭიროება, როგორც კორესპონდენტთა, ისე რედაქციის წევრთა მხრიდან.

მანანა ბაქრაძე

## ცხარე კამათი ტოლერანტობის შესახებ ანუ ვის აშინებენ კათოლიკეები?

ბაკურიანში აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის რელიგიის ექსპერტების წარმომადგენლები, მსჯელობდნენ მართლმადიდებელი ტრადიციის მქონე ქვეყნებში რელიგიური პლურალიზმისა და სამოქალაქო განათლების შესახებ.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (ხელმძღვანელი გია ნოდია) ეგიდით დაბა ბაკურიანში, სასტუმრო „თორი-პალასში“ სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ერთ-ერთმა ჰოლანდიურმა ფონდმა დააფინანსა და, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსული 32 ექსპერტი იღებდა მონაწილეობას. სემინარის თემა იყო – რელიგიური პლურალიზმი და სამოქალაქო განათლება მართლმადიდებელი ტრადიციის მქონე ქვეყნებში.

ბაკურიანის სემინარში სულხან-საბა ორბელიანის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის ორი პროფესორ-მასწავლებელი (ლევან აბაშიძე და ნუგზარ ბარდაველიძე) იღებდა მონაწილეობას.

სემინარზე გამომსვლელებმა მეტად აქტუალური და შინაარსიანი მოხსენებები წარმოადგინეს (ბაკურიანის სემინარი ამითაც გამოირჩეოდა სხვა მრავალი, ანალოგიური შეხვედრებისაგან, სადაც საკმაოდ უფერული მოხსენებები იკითხება). ყოველ გამოსვლას მრავალი შეკითხვა და ცხარე კამათი მოსდევდა, თუმცა სხდომის წამყვანები: გ. ნოდია, ლ. აბაშიძე და ო. ფოროსტუკი ზუსტად იცავდნენ რეგლამენტს და სამუშაო რეჟიმი ერთი წუთითაც არ დარღვეულა.

პირველ სამუშაო დღის თემას წარმოადგენდა რელიგიური პლურალიზმი და ტოლერანტობის პრობლემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ნიკალაი მიტროხინის (რუსეთი), ანდრეი იურაშის (უკრაინა) (ეს ორი მეცნიერი გასულ წელს ინსტიტუტ „საბასაც“ სტუმრობდნენ და ლექციების კურსიც წაიკითხეს), ზორან მატევსკის (მაკედონია), დენ დუნგაციუს (რუმინეთი), და ბექა მინდიაშვილის (საქართველო) მოხსენებებმა.

დიდ აღმოჩენა არ იქნება იმ ფაქტის გახსენება, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ სამყაროში, თითქმის ერთნაირი პრობლემები დგას, მათ შორის, რელიგიურ ცნობიერებაშიც. ამიტომ ყოველ სახელმწიფოში, რომელმაც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ მოიპოვა

დამოუკიდებლობა ან, საერთოდ, პირველად შექმნა სახელმწიფო (ყოფილი იუგოსლავიის მაკედონია ან უკრაინა), მსგავსი პრობლემების გადალახვა უწევთ. აქ გასათვალისწინებელია რელიგიური ფაქტორიც. კომუნისტური რეჟიმის დროს ეკლესიები დათრგუნული იყვნენ და შედარებით თანაბარ პირობებში უხდებოდათ თავის გატანა. დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში, რომელმაც პლურალისტური არსებობის გარემო შექმნა ყველა კონფესიისათვის, მწვავე ანტაგონიზმმა იჩინა თავი. აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ეკლესიები, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებში მათი მრევლი დიდ უმრავლესობას შეადგენს, საკმაოდ რთულ პირობებში აღმოჩნდა. მთავარი პრობლემა კი განათლებული და სულიერი კადრების ნაკლებობაა, ასევე, სასულიერო სასწავლებლების დაბალი დონე. სამღვდელოების დიდი ნაწილიც კი პირადი კეთილდღეობის გამო არის შეფარებული ეკლესიას, ამიტომაც ინტელექტუალურ-სულიერი კუთხით მართლმადიდებლები აშკარად ჩამორჩებიან რომის კათოლიკე ეკლესიისა და პროტესტანტული დენომინაციების მღვდელმთავრებს. გრძნობენ რა კათოლიკეებისა და პროტესტანტების უპირატესობას მრევლთან მუშაობის, სოციალური პრობლემების დაძლევის, განათლებისა და აღზრდის სფეროში, აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი სამღვდელოების დაბალი და საშუალო ფენა (დიაკვნები, მღვდლები), აშკარად უპირისპირდება კათოლიკეებს და სხვადასხვა PR ხერხებით ცდილობს დააშინოს ადამიანები და უნდობლობა გაუჩინოს მათ კათოლიკეების მიმართ. თუმცა სულ სხვაგვარი განწყობაა მართლმადიდებელ მაღალ იერარქებში. მრავალი მღვდელმთავარი, თუმცა ჯერჯერობით ფარულად, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობს კათოლიკეებთან. ბევრი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ცდილობს განათლება მიიღოს პაპის კათოლიკურ ინსტიტუტებში, თანამშრომლობენ კათოლიკეებთან და პროტესტანტებთან სოციალური პროექტების განხორციელებაში. ხედავენ რა მართლმადიდებელი მღვდელმსახურები თავიანთი იერარქების მეგობრულ ურთიერთობას კათოლიკეებთან, კიდევ უფრო ძლიერდება მათში მომავლისადმი შეშფოთება და შიში. დაბალი სასულიერო განათლების მქონე მღვდლებს ეშინიათ დასავლეთში მომზადებული სასულიერო კადრებისა, გრძნობენ, რომ ისინი მომავალში კონკურენციას ვეღარ გაუწევენ პაპის ინსტიტუტებში მომზადებულ თავიანთ კოლეგებს. ეშინიათ იმისაც, რომ აქტიურად მოღვაწე კათოლიკე მღვდლები სულ უფრო მზარდ სიმპათიებს იწვევენ რიგით მართლმადიდებლებში და შემდგომ ესენი იგივე მოთხოვნებს უყენებენ საკუთარ მოძღვრებსაც: განათლებას, ზნეობას, ზრუნვას საკუთარ მრევლზე და სხვ. ერთი სიტყვით, მართლმადიდებლებს პრობლემები ემატებათ კათოლიკეების მხრიდან და ან უნდა გადაეწყონ დასავლეთ ევროპულ ტოლერანტულ-რაციონალურ, ბეჯით, შრომისმოყვარე, აქტიურ საქმიანობაზე ან თუ უარს არ იტყვიან აღმოსავლურ თვითდაჯერებულობაზე, სიზანტეზე, უდარდებლობაზე, შეიძლება მრევლმა თქვას მათზე უარი. აი, ერთ-ერთი და, ცხადია, არა ერთადერთი მიზეზი ბოლო ათწლეულში გაჩენილი ანტაგონიზმისა რომის ეკლესიის და შიშისა კათოლიკეების მიმართ.

სემინარის მეორე ნაწილი განათლების პრობლემებს დაეთმო. **დანიელა კალკანდიევამ** წარმოადგინა მოხსენება ბულგარეთში რელიგიის სწავლების შესახებ, შემდგომ კი სემინარი თითქმის მთლიანად დაეთმო რელიგიის სწავლებას საქართველოში. **სიმონ ჯანაშიამ** წარმოადგინა პროექტი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ფარგლებში, რელიგიის სწავლების პერსპექტივები თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით. განხილული იქნა ქუთაისში ჩატარებული მორიტორინგის მასალები, მათ შორის, ის ფაქტებიც თუ რა სავალალო, ხშირად ანეკდოტურ დონეზეა დღეისათვის რელიგიის სწავლება მოუმზადებელი და აშკარად არატოლერანტული პედაგოგების მხრიდან. თუმცა დასახელებულ პროექტს კრიტიკოსებც მრავლად გამოუჩნდა. კრიტიკის პირველი ობიექტი კი პედაგოგები არიან, შეძლებს კი განათლების სამინისტრო მოამზადოს და შეარჩიოს სათანადო ინტელექტუალურ-ეთიკური დონის რელიგიის მასწავლებლები, რომლებიც პროექტის მოთხოვნის შესაბამისად, შეძლებენ რელიგიის სწავლებას? მთავარი არის პედაგოგი, თორემ თვით ფიზკულტურის მასწავლებელსაც კი შეუძლია თავისი საგნის სწავლებისას გამოავლინოს რელიგიური ზეწოლა და შელახოს და შეურაცხყოს სხვაგვარად მორწმუნეთა უფლებები.

რელიგიის სწავლებას შეეხებოდა **სოფიკო ლობჯანიძის, ბელა სმერაძის** და **ნინო კალანდარიშვილის** მოხსენებებიც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კონფლიქტოლოგიის ცენტრის თანამშრომლის, ქალბატონ **ირინა სულხანიშვილის** მოხსენებამ, რომელშიც მოსახლეობაში ტოლერანტობის ხელშემწყობ ფაქტორად ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობა წარმოჩინდა ერთ-ერთ ეფექტურ პროცესად. ქალბატონმა ირინამ თავისი ჩვეული მომხიბვლაობითა და საკითხისადმი ღრმა წვდომით, მართლაც მოხიბლა სემინარის მონაწილენი და საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

სემინარის ბოლოს გამართულ კამათში ცალსახად გამოიკვეთა ერთი მოსაზრება, რომ მართლმადიდებლური ტრადიციის მქონე ქვეყნებში, განათლების სისტემაში უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ფორმებს და არა შინაარსს და მოწოდებები რჩება მოწოდებების დონეზე, ხოლო რეალურად, ბევრი არაფერი კეთდება და რომ, აუცილებელია საფუძვლიანი რეფორმები სწავლების, განსაკუთრებით კი – ტოლერანტული აღზრდის სფეროში. ამ მხრივ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ძალზე ბევრი რამ უნდა ისწავლონ დასავლეთისაგან, განსაკუთრებით კი – კათოლიკური ინსტიტუტებისაგან, ვინაიდან, დღესდღეობით, მსგავსი წარმატებული სისტემა განათლების სფეროში მსოფლიოში ჯერჯერობით არ არის, განსაკუთრებით კი დომინიკელთა და იეზუიტთა მიერ შექმნილი და აპრობირებული სისტემები. თვით კათოლიკეების მოწინააღმდეგეებიც კი ცალსახად არჩევენ, რომ შვილები სასწავლებლად კათოლიკურ სკოლებში მიაბარონ.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

## საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!

მაყვალა ლეკიშვილი

\* 1939, სოფ. ხიზაბავრა

† 2006, 3. VIII, სოფ. ხიზაბავრა

ნატა ნესოშვილი

\* 1926 წ. 28. VI, სოფ. ახალშენი

+ 2006 წ. 7. VIII, სოფ. ახალშენი

ახალგაზრდული გვერდი

### კარგი გამოცდილება

როგორც „საბას“ წინა ნომერში ვწერდით, უდის საზაფხულო იალაღებზე

მოეწყობოდა ახალგაზრდული საბჭოს შეხვედრა უდელ ახალგაზრდებთან. შეხვედრა შედგა. გთავაზობთ მასში მონაწილეთა შთაბეჭდილებებს:

– 2-დან 5 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებულმა შეხვედრებმა ჩვენზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

– გაგვიჩნდა სურვილი უფრო გავიღრმავოთ სარწმუნოებისადმი ცოდნა.

– ეს შეხვედრა შეიძლება ნაყოფიერი გამოდგეს ჩვენი სამრევლოსათვის, პირველ რიგში ურთიერთობის მოგვარებაში: “ერთად სვლა” შეიძლება გაგრძელდეს ჩვენს სოფელში.

– გავიგეთ და შევიძინეთ მეტი ცოდნა რწმენაზე. ეს გვეხმარება რომ გავხდეთ უფრო აქტიურები, რათა გადავარჩინოთ და დავიცვათ ჩვენი რწმენა, ჩვენი ეკლესიის მომავლისათვის.

– ჩვენთვის ნათელი გახდა თუ რაოდენ სასარგებლოა პიროვნებისათვის უფალთან დაახლოება და მოყვასის მიმართ სიყვარული.

– ძალიან დიდი მადლობა ამ შეხვედრისა და ყურადღებისათვის. მოხარულნი ვიქნებით თუ ასეთი შეხვედრები კიდევ ჩატარდება უდის ახალგაზრდებისათვის.

### უდის ახალგაზრდები

ჩვენ, როგორც საბჭოს წევრები, ძალიან კმაყოფილნი ვართ, რომ ახალგაზრდებმა ასეთი დიდი ნდობა გამოხატეს ჩვენს მიმართ: გულთბილად მიგვიღეს და გულლიად გვესაუბრნენ მათ პრობლემებზე.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს შეხვედრა ძალიან დიდი მადლი იყო ღმრთისაგან: ზოგიერთ ახალგაზრდას, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა მიღებული აღსარებისა და ზიარების

საიდუმლო, გაბედეს და მივიდნენ ღმერთთან შესახვედრად ამ ორ საიდუმლოში. მადლობას ვწირავთ უფალს ამისათვის.

**ლაშა მამულაშვილი**  
**თეონა ტატალაშვილი**  
**თამუნა ჩილინგარიშვილი**

საყმაწვილო გვერდი

### **დაფარული ძღვენი** (ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფუტკარი, ერთი პეპელა და ერთი ც პატარა ობობა. უფრო სწორად კი იყო ერთი ყვავილი. ეს სულერთია, ვინაიდან ფუტკარიც, პეპელაცა და ობობაც სწორედ ამ ყვავილის ბუტკოში ცხოვრობდნენ. ობობა თადეოზი ჩინებული მუსიკოსი იყო. საკუთარი ქსელის ძაფებით ფრიად ნატიფ საკრავებს აწყობდა და ტკბილ ჰანგებს აუღერებდა. მისი მუსიკის ნოტებზე, პეპალა კლარისა ჰაეროვნად ცეკვავდა და ნარნარად არხევდა ბალახის ღეროებსა და ყვავილთა გვირგვინებს. ხოლო ფუტკარი კი ამ დროს მინდვრის ფოთლების მოხატვით იყო დაკავებული. მისი მთავარი გატაცება ღრუბლები იყო. როგორც სხვა ბევრი ხელოვანი, ეს ჩვენი ფუტკარიც ძალიან გაფანტული გონებისა ბრძანდებოდა: ისიც კი დავიწყნოდა, თუ რა დაარქვეს დაბადებისას, ამიტომ მას ყველა უბრალოდ ფუტკარ აპეს ეძახდა (იტალიურად აპე ნიშნავს ფუტკარს). თუმცა მდელოზე ეს ჩვენი სამი მეგობარი ყველას როდი უყვარდა. ზოგიერთი მათ ცოტა უცნაურებად მიიჩნევდა, მაგანნი კი – უსაქმურებად თვლიდნენ.

“ოდითგანვე, – აღნიშნავდა გაღიზიანებული მოხუცი ობობა, – ობობას ძაფებისაგან ქსელი კეთდება, რომელიც აუცილებელია მსუყე სარჩოს მოსაპოვებლად, როგორ შეიძლება მათი საკრავებზე გახარჯვა?”

“მეც ვამბობ, რომ სირცხვილია საკუთარი დროს ასე განიავება: ფოთლების მოხატვა დაიწყო მაშინ, როცა იმის ბედნიერება გაქვს, რომ კარგი თაფლი მოამზადო“, – დაუმატებდა აღშფოთებული ჭიანჭველა. “მე კიდევ, – ცხარობდა ჭიანჭველა, – ამ პეპალა კლარისას ვერ ვიტან, ერთი შეხედეთ, ერთთავად ერთი ყვავილიდან მეორეზე დაფარფატებს, მაშინ როცა ჩვენ შრომით წელში ვწყდებით!“ “აბა, ერთი მე მკითხეთ, რამდენი წელია, რაც აქა ვარ, – დაასკვნიდა ვაშლის ხე, – მინდორში უნდა იმუშაო, სასარგებლო საქმე აკეთო, საკუთარი მოვალეობა შეასრულო. ეს სამეული კი არაფერს აკეთებს და არავის არაფერში არგია. სულაც გამქრალან, მე პირადად მათ კიტრადაც არ ვაგდებ!”

და აი, ერთ დღეს, აპე, თადეოზი და კლარისა მართლაც გაქრნენ.

მდელოზე ერთხელ სკოლის მოწაფეთა ჯგუფი მოვიდა ფოთლების, ყვავილებისა და პატარა მწერების შესაგროვებლად, რათა სკოლაში

წაეღოთ და იქ მათზე დაკვირვება მოეხდინათ. ერთმა ბავშვმა დაინახა ჩვენი ყვავილი, რომელშიც ობობა, ფუტკარი და პეპელა იმყოფებოდნენ, მოწვიტა და სიხარულით წამოიძახა:

“როგორ გამიმართლა, ერთბაშად ოთხი რამ მოვიხელთე!”

თავიდან ვერაფერს შეამჩნია, რომ ფუტკარი, პეპელა და ობობა გაქრნენ. ცხოვრება მდელიზე ჩვეულებრივად მიედინებოდა. პირველი ჭიანჭველა აღმოჩნდა, რომელმაც შეამჩნია, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. დააგლო მიწაზე ტვირთი, რომელსაც ეზიდებოდა, იქვე ფურუსულას ფოთოლზე წამოწვა და გაიფიქრა:

“ჩემს დღეში ასე არ დაგუღლივარ სახლში პურის ნამცეცის მიტანას: მგონი ავად უნდა ვიყო.”

ცოტა ხანში ერთი ფუტკარიც მოვიდა და ისიც ფურუსულაზე წამოწვა.

“დღეს რა, არ მუშაობ?”, – შეეკითხა წამოწოლილ ჭიანჭველას.

“თუ ეგრეა, რაღაც არც შენ გაქვს დიდი მშრომელის იერი! – შეეპასუხა ჭიანჭველა, – აქ რომ მოხვედი და წამომიწვიქი, ვითომ ხავერდის სავარძელი ყოფილიყოს!”

“მართალია, – უპასუხა განაწყენებულმა ფუტკარმა, – მაგრამ ამის მიზეზიცა მაქვს, ავად უნდა ვიყო. დღეს ერთი გრამი ნექტრის ამოწმების თაგვიც არა მაქვს!”

“რაო? შენც ავად ხარ?, – უეცრად თავაზიანად ჩაეკითხა ჭიანჭველა, – მაშინ კარგი იქნებოდა, თუ ორივენი ჭრიჭინა ირინეოსთან წავიდოდით, კარგი ექიმია.”

ჭრიჭინას ხვრელთან ფუტკარსა და ჭიანჭველას მწერების გრძელი რიგი დახვდათ. მაგრამ ყველაზე დაუჯერებელი ის იყო, რომ ჭრიჭინას კაბინეტის კარზე აბრა იყო ჩამოკიდებული, რომელზეც ეწერა: დაკეტილია ავადმყოფობის გამო.

მწერთა მეორე ჯგუფი კი ვაშლის დიდი ხის ქვეშ შეკრებილიყო: მდელიზე ყველა სამუშაო შეჩერებულიყო, თავს ყველანი ცუდად გრძნობდნენ. ვაშლის ხეც ოხრადა:

“საწყალი ჩემი თავი, ასე მგონია, თითქოს ყველა ჩემი ტოტი მემტვრეოდეს, რაღაც ისეთი სიმძიმე მაწვება!”

მაშინ როცა ყველა თავიანთ ტკივილებზე ჩიოდა, ერთი პატარა ჭინჭარი ჩუმად ქვითინებდა.

“შენც ავად ხარ?”, – შეეკითხა მას ერთი ობობა, როცა შეხედა, რომ ქსელი სულ ცრემლებით დაუსველა.

“არ ვიცი, ავად ვარ თუ არა, მაგრამ ვტირი იმიტომ, რომ ძალზე მომენატრა აპეს ნახატები ჩემს ფოთლებზე”.

“თუ მხოლოდ ეგ გაწუხებს, – ჩაიბურღუნა ობობამ, – მაშინ შენც ცაში აიხედე და ეგ არის: სავსეა ღრუბლებით, ეგ შენი აპე ხომ მეტს მაინც არაფერს ხატავდა!”

“ვცადე, მაგრამ ერთი და იგივე სულაც არ არის. ის ღრუბლები ძალიან შორსაა, დაბლა სულაც არ ჩამოდიან, ჩემს ფოთლებს რომ მოეფერონ, ისე როგორც ამას აპეს დახატული ფოთლები აკეთებდნენ.”

ერთმა ლოკოკინამ, რომელმაც ჭინჭრის საუბარი მოისმინა, უეცრად წამოიძახა: – “შეიძლება სწორედ ეს იყოს ჩვენი უბედურების მიზეზი: ჩვენ ფუტკარი აპე, პეპალა კლარისა და ობობა თადეოზი გვაკლია”.

“შეიძლება! – კვერი დაუკრა ჭიანჭველამ, – უნდა ვადიარო, რომ როდესაც ტვირთს ვეზიდებოდი, მუდამ თადეოზის მელოდიებს ვუსმენდი, შეიძლება ვერც კი ვამჩნევდი, მაგრამ სწორედ მათი ტკბილი ხმა იყო წონას რომ მავიწყებდა”.

“ისე მეც უნდა გამოვტყდე, – ჩუმად თქვა ერთმა ობობამ, – რომ კლარისას ცეკვებს ავყვებოდი ხოლმე, როდესაც ჩემს ქსელებს ვქსოვდი, ეს კი ჩემს სამუშაოს ნაკლებ მოსაბეზრებელს ხდიდა”.

“რაღა დაგიმალოთ და მეც, – დაამატა ვაშლის ხემ, – სანამ აპეს მიერ დახატულ სურათებს ვაკვირდებოდი ჩემს ფოთლებზე (თუმცა სულ ბუზდუნ-ბუზდუნით), სულ მავიწყდებოდა ნაყოფის სიმძიმე. მაგრამ ამაზე არც არასოდეს დაფიქრებულვარ. ეს მსხვილი ფესვები რომ არ მაკავებდნენ მიწაში, ქვეყანას შემოვივლიდი მათ მოსაძებნად!”

“მე შემიძლია წავიდე მათ საძებნელად, – შესთავაზა მათ ტოროლამ, – მაგრამ საიდან უნდა დავიწყო?”

“შეიძლება იმ ბავშვებმა წაიყვანეს, აქ მასწავლებელთან ერთად რომ მოვიდნენ, – თქვა ვაშლის ხემ, – მიდი ერთი სკოლაში”.

ტოროლა სკოლაში მიფრინდა და ფანჯრის რაფაზე ნახა ერთი ჭიქა, რომელშიც ყვავილი იდო, შიგ თადეოზი, კლარისა და აპე იმყოფებოდნენ და მშვიდად ეძინათ. ეტყობა ვერაფერი შეემჩნიათ.

ტოროლამ ფაქიზად აიღო ყვავილი, მიიტანა უკან მდებლობა და მიწაში ჩარგო. როდესაც გამოეღვიძათ, კლარისამ, აპემ და თადეოზმა ჩვეულებისამებრ ცეკვა ხატვა და დაკვრა გააგრძელეს. და სადაც არ უნდა წასულიყვნენ, მათ სულ მაღლიერებით ხედებოდნენ! სამი მეგობარი აღელვებული და ცოტა განცვიფრებული შეჰყურებდა ერთმანეთს.

“ვერ გამოვიცა, – თქვა აპემ, – ჩვენ მხოლოდ ჩვენს მოვალეობას ვიხდით, ისევე როგორც ყოველ სხვა დღეს”.

რა იცოდნენ, რომ სანამ მათ ეძინათ, მთელმა მდებლობა რა დიდი გაკვეთილი მიიღო.

## სარჩევი

რედაქციის გვერდი  
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
კათოლიკე ეკლესია საქართველოში  
სინოდი  
საუბარი ეპისკოპოსთან  
სახელოვანი კათოლიკეები  
ეკუმენური გვერდი  
პოეზიის გვერდი  
ინფორმაცია

ახალგაზრდული გვერდი  
საყმაწვილო გვერდი

საგანგებო ჩანართი:  
“მოწვევა სასტიკად აკრძალულია!”

### რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი  
ნუგზარ ბარდაველიძე  
ნატო ბიგვავა  
ვერიკო ნოზაძე  
მერაბ ღალანაძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:  
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4  
ტელ.: 98-95-16  
რეგისტრაციის № 1853  
დაარსდა 1994 წ.  
მანანა ანდრიაძის მიერ  
© „საბა“, 2006

## “მოწვევა სასტიკად აკრძალულია!”

### საგანგებო ჩანართი

მრავალი ქრისტიანი კითხულობს, არის თუ არა სივარცის მოწვევა ცოდვა და რა სახის ცოდვად შეიძლება ჩაითვალოს? ზოგიც, ასეთნი ცოტანი არიან, აღსარების დროს თავს იდანაშაულებენ მოწვევაში და აღიარებენ, რომ ვერ გაუძლიათ მის გარეშე. პასუხი ერთდრულად აღვილიცაა და რთულიც. ინდივიდუალისტური და კანონისტური კუთხით, მოწვევა შეიძლება არ ჩაითვალოს ცოდვად; ანთროპოლოგიური და ცოდვის უფრო ფართო გაგებით, მოწვევა არ შეიძლება არ ჩაითვალოს ცოდვად, არა იმიტომ, რომ იგი პირდაპირი შეურაცხყოფაა ღმრთისა, რამდენადაც, ზნეობრივი კუთხით, პატივისცემის არქონაა საკუთარი და სხვისი ცხოვრების, საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობის მიმართ, ვინაიდან ადამიანის ცხოვრება და ჯანმრთელობა ღმრთის უძვირფასესი მადლია, რისი მეშვეობითაც ადამიანი მოწოდებულია თავის სხეულს ღმრთის მსგავსებად და ხატებად შეასხას ხორცი. სიცოცხლის საკრალური მადლი ადამიანის თავისუფლებას და თანამშრომლობას მიენდო, მაგრამ ადამიანი როდი გახლავთ საკუთარი სიცოცხლის უზენაესი უფალი, მით უფრო,

სხვისი. იგი მხოლოდ მართავს მას ღმრთის უშუალო დაქვემდებარებაში. არ იზრუნო საკუთარ და სხვის ცხოვრებაზე, არ წაიყვანო ცხოვრება უკეთესი და ჭეშმარიტი გზით – ეს გადახვევაა იმ მცნებიდან, რაც ღმერთმა მისცა ადამიანს კაცობრიობის, დედამიწის და სამყაროს დაცვის მოვალეობით. თუმცა არც ის უნდა ითქვას, რომ მოწვევა ეშმაკის საქმეა, როგორც გვესმის ხოლმე, ამგვარი ფიქრი ადამიანში გამოიწვევს არა პასუხისმგებლობას, არამედ შიშს. არიან ადამიანები, რომლებსაც სუსტი ჯანმრთელობა აქვთ, მაგრამ თავი ვერ დაუნებებიათ მოწვევისათვის. ეს არის პასუხისმგებლობა? ზოგს კი პურის საყიდელი ფული არ გააჩნია, ხოლო სიგარეტისთვის პოულობენ. ეს არის პასუხისმგებლობა? არიან ადამიანები, რომლებიც თავშეყრის ადგილებში სულაც არ კითხულობენ, მათი არჩევანი სხვაზე კარგად მოქმედებს თუ არა. ეს არის პასუხისმგებლობა? თვით საგულისხმო მომენტებიც, მაგალითად, მიცვალებულის დაკრძალვის დროს, თითქოს ჩვეულებრივ და უკიდურესი გულგრილობით უნდა შესრულდეს მოწვევის თანხლებით მამაკაცთა მხრიდან; აუცილებელია ეს? ვთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას *Civiltà cattolica*-ს (2004 წლის დეკემბერი) გვერდებიდან, რაც მოწვევის ცოდვის აზრს თუ არა, მის მავნებლობას მაინც გაგვაგებინებს.

სიგარეტის მოწვევა, თავისი გავრცელებით, სიმძიმით, მისგან მომდინარე სოციალურ-სანიტარული თვალსაზრისით, და მის უკან მდგარი უზარმაზარი ეკონომიური ინტერესებით – თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს.

ნიკოტინის მოხმარების პრობლემა ორი კუთხით განიხლება: ინფორმაციული და მიმწოდებლური. პირველად, შევეცდებით ფართო ინფორმაციული მიმოხილვა გავაკეთოთ თამბაქოს ისტორიაზე, მწვეველების მოტივაციაზე, იმ დამოკიდებულებაზე, რასაც იგი ქმნის მწვეველებში, მის მიერ მოყენებულ ზიანზე, მიმწოდებელთა იურიდიულ და ეკონომიურ პრობლემებზე.

შემდეგ ჩამოვაყალიბებთ წინადადებებს მწვეველთა დასახმარებლად თამბაქოს გადაგების მიზნით და მცირეწლოვანებში მოწვევის გავრცელების პრევენციის კუთხით.

## **თამბაქოს ისტორია**

თამბაქო (*nicotina tabacum*) ტროპიკული ქვეყნების ერთწლიანი მცენარეა, წარმოშვებით ამერიკიდან, სადაც კოლუმბამდელ ეპოქაში ძალზე დიდი გამოყენება ჰქონდა როგორც სიამოვნების განცდისთვის, ასევე რელიგიური რიტუალებში, როგორც ღმრთაებრივთან კონტაქტში შესვლის საშუალება ჰალუცინაციის წარმოქმნის უნარით და *ტრანსის* შექმნით. ევროპაში იგი 1500 წელს ჩამოიტანეს და მთელს მსოფლიოში გაავრცელეს. მოსაწვევი თამბაქოს საწარმოებლად იყენებენ მის გამხმარ და სასუქიან ფოთლებს.

თამბაქოს უმთავრესი თვისებაა ნიკოტინამდე მიყვანა, რომელიც თხევადი, ზეთოვანი და აორთქლებადი ალკალოიდია, იგი ნევრულ

სისტემაზე მოქმედებს როგორც ადგენებადობის, ასევე ინსტიტუტების შენელების ეფექტი. დაბალ დონას მოყვება ადგენებადობა, ხოლო მაღალს შენელება, თვით პარალიზებამდე. არტერიული კუთხით ძარღვების შევიწროება, რაც სისხლის შედედებასთან არის დაკავშირებული. პიროვნებას ერთდროულად შეუძლია, ზოგჯერ სიგარეტიდან მიიღოს სიამოვნება და სიმწიდე და ზოგჯერ ძლიერი ადგენებადობა. გარდა ამისა, მას კონცენტრაციის უნარზე და ათვისებაზე სასიკეთო მოქმედება ახასიათებს. მისგან უცნაურად მრავალგვარი ეფექტი მოდის: ამ კუთხით თამბაქო უტოლდება ალკოჰოლურ სასმელებს და კანაფიდან მიღებულ შედეგებს, ამიტომაც განისაზღვრა იგი “მავენ ნივთიერებად”, ანუ იგივე ნარკოტიკად, თუმცა მოთავსდა განსაკუთრებულ კატეგორიაში, რადგანაც მისი საერთო გამოყენებით არ მიიღება მწვავე მენტალური ცვლილება, საკუთარ მოქმედებაზე კონტროლის დაკარგვა, რასაც ნარკოტიკების შემთხვევაში ვხედავთ.

### **მოწვევის მოტივაციები**

ანგარიშობენ, რომ მსოფლიოში მწვევლთა რიცხვი დაახლოებით 1 მილიარდს აღწევს და სავარაუდოდ, თუკი საწინააღმდეგო ტენდენცია არ წავიდა, ეს ციფრი 2025 წლისათვის 1.6 მილიარდამდე გაიზრდება. XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მოწვევა დაიწყო ქალბატონებმაც და მნიშვნელოვანი პროგრესული ტემპით. თუკი წარსულში მოწვევა განათლებული კლასის პრივილეგია იყო, დღეს მწვევლთა 20,4% საშუალო, 23,8% უმაღლესი და 28,8% ქალები შეადგენენ. ეს მონაცემი კარგად აჩვენებს იმას, რომ თამბაქოს მოწვევის საშიშროება იზრდება სასოკლო განათლების დონეზეც.

როდის იწყებენ მოწევას? მწვევლთა 6,2% 14 წლამდე იწყებს და 44,7% 14-17 წლისა. ეს ნიშნავს, რომ 50%-ზე მეტი მოწევას იწყებს 18 წლამდე; რაც შეეხება სიგარეტის ყოველდღიურ გამოყენებას, მამაკაცების 4,3% და ქალების 4,6% დღეში ერთ კოლოფზე მეტს ეწევიან. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მოწვევისთვის თავის დანებების საშუალო ასაკი მამაკაცებში მოდის 37,1 წელზე და ქალებში მოდის 57,1 წელზე. რაც შეეხება მშობლების საქციელს, გაირკვა, რომ შვილთა 22,2% ეწევა თუკი მხოლოდ მამაა მწვეელი, ხოლო 31,3% თუკი მხოლოდ დედაა მწვეელი; გოგონებში, 29,2% ეწევა თუკი დედა ყავს მწვეელი, ხოლო 14,0% გოგონებისა თუკი მხოლოდ მამა ყავს მწვეელი.

*რატომ იწყებენ მოწევას?* მოტივაცია, რაც გოგონებსა და ყმაწვილებს უბიძგებს მოწვევისაკენ, მრავალია და კომპლექსური. პირველ რიგში, ესაა ცნობისმოყვარეობა ყოველივე ახლისადმი, განსაკუთრებით, აკრძალულისადმი. შემდეგ მოდის მოწვევის სიმბოლური დატვირთვა: ახალგაზრდებისათვის იგი დიდების სამყაროში შესვლას ნიშნავს; გოგონასათვის გარკვეული დაქვემდებარებიდან ემანსიპაციას. შემდეგ ჩნდება ჯგუფის კანონი: თუ გინდა მწვევლთა ჯგუფში მიგიღონ, შენც უნდა მოწიო. დაბოლოს, მოწვევა შეიძლება იყო მეამბოხე სულის გამოვლინება საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების მიმართ, ან სულაც

განსაქარვებელი საშუალება სევდისა და ნადველისაგან, რასაც გარემო-პირობა გიქმნის. აქ საუბარია ისეთ მოტივაციებზე, რასაც დიდი ძალა აქვს ყმაწვილების ასაკში. ეს კარგად აჩვენებს თუ რარიგ ძნელია მასთან შებრძოლება, თვით იმ ფაქტის გამო, რომ თუკი მთელი დაუინებით დაიწყებ მოწვევის საშიშროებაზე საუბარს, როგორც სხვა ნარკოტიკებზე, ეს კიდევ უფრო გააღვიძებს ინტერესს მოზარდების თვალში, რომლებიც თავიანთი ბუნებით დამრღვევები და მეამბოხეები არიან, და ცდილობენ საკუთარი პიროვნულობა და სიმამაცე დაამტკიცონ იმის წინაშე, რასაც დიდები “საშიშს” და “მაფნებელს” უწოდებენ.

ის, თუ რომელია თავდაპირველი მოტივაცია მოწვევის დაწყებისას, იმისდა მიხედვით იცვლება, თუ როდის ახდენს თამბაქო თავის ეფექტების ზემოქმედებას. მათ მართლაც ახასიათებს ყურადღების და ათვისების გაუმჯობესება და ეთობლივად აქვს მასტიმულირებელი და დამამშვიდებელი თვისება. გარდა ამისა, მოწვევა აყუჩებს ტკივილს, ანელებს სევდას, შიშს, დაღლილობის შეგრძნებას, შიმშილის და წყურვილის სტიმულს, მნიშვნელოვნად აძლიერებს ინტელექტუალურ და ფიზიკურ ძალებს. თამბაქოს ეს ეფექტები, სასიამოვნო თუ სასარგებლო, იმდენად აქეზებს ახალგაზრდებს მის გამოყენებაში, რომ არაფრად მიაჩნიათ ის ზიანი, რაც მას მოაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მყისიერად კი არ იჩენენ თავს, როგორც ეს სხვა ნარკოტიკების დროს ხდება, არამედ დროთა მსვლელობაში.

### **მიჯაჭვეულობა**

ნარკომანია ანუ სხვაგვარად *ნარკოტიკებზე მიჯაჭვეულობა*, დაუოკებელი და ცნობადი საჭიროებაა, რაც უმთავრესად რომელიმე ნარკოტიკული წამლის გადაჭარბების მიღებით ვლინდება და მას უკვე აღარ გააჩნია მხოლოდ თავდაპირველი ეფექტები (სიამოვნება, კონცენტრაციისა და ათვისების დიდი უნარი, ტკივილის გაყუჩების, და ა.შ), ახლა უკვე იმ აშლილობის გადალახვა სურთ, რასაც მისი არქონა იწვევს და რასაც ითხოვს ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მდგომარეობის შენარჩუნების სურვილი. მოწვევა, რაც თავდაპირველად თავისუფალი და ნებაყოფლობითი არჩევანია, შემდგომში ანგარიშგასაწევ საჭიროებად იქცევა, არა იმდენად რომ თავდაპირველი ეფექტები შექმნას, რამდენადაც მისი არქონით გამოწვეული აშლილობა გადალახოს: ანუ ქმნის “დამოკიდებულებას”, იმ გაგებით, რომ ამ დროს უძლური ხარ მისი მიღების გარეშე შეინარჩუნო ფიზიკური და ფსიქიკური წონასწორობა. თუკი ფიზიკური და ფსიქიკური წონასწორობა ჯანმრთელობის ტოლფასია, ხოლო მისი არქონა დაავადების, აქედან გამომდინარე, დამოკიდებულება არის “დაავადება”: ავადმყოფობა, რასაც პარადოქსულად, იგივე აგენტი (მოწვევა) ამშვიდებს, რაც მას იწვევს.

*დამოკიდებულება* ვლინდება მაშინ, როდესაც აუცილებელია სიგარეტის მოხმარების ზრდა, რათა თავდაპირველი სიამოვნების ეფექტი მიიღონ, როდესაც მცირე დოზიდან დღეში 20, 40, ან უკიდურეს შემთხვევაში, 80 ღერ სიგარეტზე გადადიან, სრულიად გაუღიზიანებლად,

ორგანიზმში წარმოიქმნება ჰომეოსტატიკური რეაქცია, რაც ორგანიზმის თავდაცვის ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ამ დროს ორგანიზმი ვერ ინარჩუნებს სტაბილურ წონასწორობას, რაც ფიზიოლოგიურისგან განსხვავებულია, რადგანაც ასეთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ის ითხოვს სიგარეტის მოწვევის გაგრძელებას. დანებების შემთხვევაში დგება აბსტინენციური კრიზისი, რაც მწვეველში იწვევს დეპრესიას, უძილობას, გაღიზიანებას, კონცენტრაციის სირთულეს, ბრაქიკარდიას, ზოგჯერ გაძლიერებულს. ამ კრიზისის დასაძლევის მიზნით ისევ მოწვევას უბრუნდებიან.

ამიტომაც ძალზე ძნელია სიგარეტის მოწვევის გადახვევა, იმდენად რთული, რომ ზოგიერთი ინფარქტის შემდეგაც აგრძელებს მოწვევას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოწვევაზე დამოკიდებულება პიროვნების ნებისყოფაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ახლადმიჩვეულზე ხდება დამოკიდებული, ზოგი კი დიდი ხნის შემდეგ. ზოგი ადვილად თავისუფლდება ამ დამოკიდებულებიდან, ზოგი კი მოწვევიდან გამომწვეული სიცოცხლისათვის საშიში ეფექტების მიღების შემდეგაც ვერ ახერხებს.

### ***მოწვევის მავნებლობა***

მნიშვნელოვანი ლიტერატურა, რაც უმთავრესად ცალსახად საუბრობს მის მავნებლობაზე, აჩვენებს, რომ ნიკოტინი გაცილებით მეტ სიკვდილიანობას და დაავადებას იწვევს, ვიდრე ერთად აღებული ყველა გარემოებითი ფაქტორი, ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკის, თვითმკვლელობის, მკვლელობის, საგზაო ინციდენტების ჩათვლით, თვით შიდსიც კი. სიკვდილიანობის უპირველეს მიზეზად მიჩნეულია კარდიო-ცირკულარული დაავადებები, სხვადასხვა ორგანოების სიმსივნე, მეტწილად კი ფილტვების და სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებები. მოწვევით გამოწვეული სიკვდილიანობა მსოფლიოში ყოველწლიურად შეადგენს 3,5 მილიონს. მისგანვე მოდის სიცოცხლის ასაკის შემცირება 6,6 წლით. ამას ემატება ციკლური და ქრონიკული უძლურება, შეაბამისი სანიტარული ხარჯებით. აღსანიშნავია, რომ თამბაქოს მოწვევით გამოწვეული სიკვდილიანობა შეინიშნება 25%-ზე მეტი 35-65 წლის ასაკში, ანუ ცენტრალურ და ყველაზე პროდუქტიულ ასაკში, როდესაც ძლიერი უნდა იყოს ახლობლების პასუხისმგებლობის როლი.

ასე და ამრიგად, განვითარებულ ქვეყნებში სიგარეტის მოწვევა სიკვდილიანობის უმთავრესი მიზეზი, ან თანამიზეზია, რაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ, მაგრამ ასე არ ხდება და შედეგად, მსოფლიოში ყოველ წუთში შვიდი ადამიანი კვდება სიგარეტის მიზეზით.

### ***მოწვევა აზიანებს ადამიანის რეპროდუქციულ უნარს***

სიგარეტის მოწვევა იმ აგენტებს შორის ითვლება, რომელსაც შეუძლია – როდესაც მოწვევა ჩვევად იქცევა – სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის რეპროდუქციულ ფუნქციას. ეს მავნე ჩვევა ზემოქმედებს არა მხოლოდ გონადებზე (სპერმატოზოიდის გამეტების და

კვერცხუჯრედის მწარმოებელი ორგანო), ორივე სქესში განსხვავებული ფორმით, არამედ ვრცელდება ემბრიონალურ-ფეტალურ და პოსტნატალურ განვითარებაზეც.

რაც შეეხება მღედრობით სქესს, მწვეველი ქალებს ერთ წელზე მეტხანს უგვიანდებათ ჩასახვა, ვიდრე არამწვეველ ქალებს. თავისუფალი კავშირებიდან ხუთი წლის შემდეგ, გამოკითხული ქალების 10,7%-მა ვერ მიაღწია ჩასახვას არამწვეველთა 5,4%-თან შედარებით. მიიჩნევენ, რომ ინფერტილურობა და ჩასახვის დაგვიანება გამეტოგენოზზე, განაყოფიერებაზე, ემრიონის იმპლანტაციის პროცესზე და იმპლანტაციის შემდეგ ემბრიონის ძალზე ნაადრევ სუბკლინიკურ დენაზე სიგარეტის მოწვევის ზეგავლენით აიხსნება. მოწვევამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს მამაკაცის ნაყოფიერებაზე, როგორც სპერმატოგენეზის დაზიანებით, ასევე სათესლე სითხის შეკავებით, მისი სიცოცხლისუნარიანობის და გადაადგილების უნარის შემცირებით. თუმცა ყველაზე სერიოზული ზიანი მოწვევას მოაქვს ორსულობისას, ჩასახვის წუთიდან დაბადებამდე, და შემდეგ ნატალურ და პერინატალურ განვითარებაში.

მოწვევის უარყოფითი ეფექტები ორსულობის მთელ პერიოდში გამოიხატება და იწვევენ: 1) სპონტანური (უნებური) აბორტის ზრდას, ეს ორმაგდება მის შემთხვევაში ვინც დღეში 20 სიგარეტზე მეტს ეწვევა; 2) საშვილოსნოს გარეთ ორსულობა, რაც მეტწილად გვხვდება ძლიერ მწვეველებში; 3) ემბრიონის ზრდის შეფერხება, დაბადებისას წონის შემცირება 200 გრამამდე აქტიური წევით და 80 გრამამდე პასიური წევით; 4) მემბრანის გარღვევა და პრემტურული მშობიარობის რისკი, გამოწვეული მწვეველების 15%-ში; 5) პერინატალური სიკვდილიანობის კომპლექსური მატება; 6) ახალშობილის მოულოდნელი სიკვდილის სინდრომი, რაც მოწვევის შემთხვევაში სამჯერ იზრდება.

ლაქტაციაზე გადასვლისას გაირკვა, რომ სიგარეტის სხვადასხვა ნივთიერება, ნიკოტინის ჩათვლით, რძეში გადადის. და ბოლოს, რაც შეეხება თავად ბავშვს დაბადებამდე და მის შემდეგ, მწვეველთა შვილებში გაორმაგებულად დააკვირდნენ მწვავე რესპირატორული დაავადებების საგულისხმო ზრდას. პატარებში ასთმის შემთხვევის 15% გამოწვეული პასიური წევით. ზოგადად, სტატისტიკა აჩვენებს, რომ საავადმყოფოებში ძირითადად ხვდებიან ბავშვები პასიური წევით.

## **ნაკლებად შეუფასებელი განსაკუთრებით მძიმე პრობლემა**

როგორც ხედავთ, ნიკოტინი აშკარად ყურადსაღები სოციალური პრობლემაა, იმ მძიმე ზიანით, რაც მას მოაქვს როგორც მწვეველების ჯანმრთელობაზე, ასევე მათზე, რომლებიც თავისდაუნებურად ხდებიან პასიური მწვეველები, განსაკუთრებით კი ბავშვები, მუცლად ყოფნისას თუ ბავშვობის პირველ ეტაპზე, იმის გამო, რომ მწვეველთა ოჯახში იზრდებიან. ასევე უნდა ითქვას, რომ ნიკოტინისგან გამოწვეული დაავადებები და სიკვდილიანობა მძიმე დარტყმას აყენებს ადამიანის ეკონომიურ რესურსებს, რაც სხვა ყოველად გადაუდებელი საჭიროებების

დაკმაყოფილებას აკლდება, როგორცაა გაჭირვებული ოჯახების დახმარება.

თუმცა დღევანდელ საზოგადოებაში ნიკოტინი ჯერ კიდევ შეუფასებელია, არა მხოლოდ უბრალო ხალხიდან, მათგანაც, ვისაც მის წინააღმდეგ ბრძოლის მოვალეობა აკისრია. მიზეზი ნაწილობრივ მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ თამბაქოს მოწვევიდან გამოწვეული ზიანი არ არის იმდენად თვალშისაცემი, როგორც რომელიმე ნარკოტიკის დროს, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ვხედავთ შედეგებს, ან სულაც ზოგიერთ შემთხვევაში უვნებლად ჩაივლის. მოწვევის მავნებლობა აიოლებს მის ფატალისტურ მიღებას. გარდა ამისა, როდესაც ზიანი იჩენს თავს, მას უკვე ქრონიკული ხასიათი აქვს: ანუ დაავადება, რასაც მოწვევა იწვევს ხანგრძლივად გრძელდება და ნაკლებია შანსი მის მყისიერ და ადვილად განკურნებაზე, თუმცა არც უმოკლეს დროში იწვევს სიკვდილიანობას. სინამდვილეში, ეს არის ზიანი, რომელიც ნაკლებად იწვევს შიშს: საზოგადოება უფრო შოკირებულია საგზაო ინციდენტებით, ალკოჰოლის ეფექტებით, ვიდრე ნიკოტინით გამოწვეული სიკვდილიანობით, რაც რიცხობრივად და სოციალური ღირებულებით შეუდარებლად აღემატება ყველას. ყველაფერი ეს განაპირობებს იმას, რომ საზოგადოებაში მოწვევის საშიშროება ნაკლებად აღიქმება.

### ***ნიკოტინი – ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა***

ნიკოტინი ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს მრავალთა აზრით. პირველ რიგში, იმის გამო, რომ თუნდაც შეგნებული ჰქონდეს მწვეველს ეს მიმღე შედეგები, მიიჩნევს, რომ მოწვევა თავისუფალი არჩევანია, რასაც ვერავინ წაარმთმევს, თუ არა მისივე თავისუფლების შეურაცხყოფით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოწვევის აკრძალვაში იგი საკუთარი თავისუფლების ხელყოფის ნიშნებს ხედავს. სხვა კუთხიდან, სიგარეტი „ლეგალური“ ნარკოტიკია, რადგანაც იგი ჩართულია კომერციაში და ჩვენი საზოგადოების მყარ ჩვევას წარმოადგენს.

მეორე რიგში, თამბაქოს უკან ძლიერი ინტერესები დგას, რაც მხოლოდ აფერხებენ მოწვევის აკრძალვას, არამედ იმ ღონისძიებების გატარებას მისგან გამოწვეული საფრთხის შემცირებაზე. უწინარესად იკვეთება თამბაქოს მულტინაციონალური ინტერესები, რომლებიც სიგარეტის წარმოებიდან და გაყიდვიდან უზარმაზარ მოგებას იღებენ, პირდაპირი და არაპირდაპირი გზით უწევენ თამბაქოს პროპაგანდას, განსაკუთრებით მოზარდებში და ახალგაზრდებში: ასეთ პირობებში თამბაქოს მულტინაციონალები ეყრდნობიან მეცნიერებს და მკვლევარებს, მათ ანდობენ მისიას, რომ დაუმტკიცონ საზოგადოებას თამბაქოს არცთუ მავნე ზემოქმედება, როგორც ამას ამბობენ, ანდა აღმოაჩინონ მოწვევის „უვნებელი“ ფორმები და ჩაახშონ მოწვევის საშიშროების ირგვლივ წარმოქმნილი განგაში. ისინი წუთითაც არ იხევენ უკან, რომ აწარმოონ სარეკლამო კამპანიები თამბაქოს რაც შეიძლება მეტი მოხმარების მიზნით, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გზით, მიმართავენ გაყიდვის პრომოუშენს (ფასდაკლება, საჩუქრები, პრემიები და თამაშებში

მონაწილეობა), თამბაქოს რეკლამას უკეთებენ კინოში და სპორტში, განსაკუთრებით “ფორმულა 1”-ში.

შემდეგ დიდია მათი ინტერესები, ვინც სიგარეტების გაყიდვითა და კომერციით არის დაკავებული, რომელთა სამუშაო ადგილები სათუო გახდება ამ პროდუქციის შემცირებით. და ბოლოს, აქვეა განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების ინტერესებიც, რომლებიც ცხოვრობენ – ანუ უმჯობესია ვთქვათ არსებობენ – თამბაქოს მცენარის მოყვანით, მათ სჭირდებათ იმგვარი პირობის შექმნა, რითაც თამბაქოს სხვა კულტურებს ჩაუნაცვლებენ და ამით დიდ მოგებას ნახავენ: ეს მომგებიანი იქნება ასევე მდიდარი ქვეყნებისათვის, რომლებიც დღეს ვეება თანხებს ხარჯავენ თამბაქოთი გამოწვეული დაავადებების განკურნებაში, მაგრამ ამის განხორციელება ძნელია, რადგანაც არც განვითარებული ქვეყნები არ დათანხმდებიან თამბაქოს ადგილზე სხვა კულტურის გამოყვანას, ვინაიდან მყისიერ მოგებას ვერ ხედავენ ამაში, და არც განვითარებული ქვეყნები მიიღებენ თამბაქოს კულტურის გადაშენებას, რაც გარანტირებულ მოგებას იძლევა და იმ კულტურით მის შეცვლას, რაც მათ არსებობას საფთხეს შეუქმნის.

აი, რატომაც ხდება, რომ ყველანაირი შეზღუდვის მიუხედავად, – რაც არა მხოლოდ საქებარი და დროულია, არამედ აუცილებელი და ფართოდ გასაშლელია, – თამბაქოს მოხმარება მცირდება მამაკაცებში, მაგრამ იზრდება ქალებში და მოზარდებში. ნიკოტინის წინააღმდეგ ბძოლაში საუკეთესო შედეგების მისაღებად საჭიროა, რომ მოზარდ-ახალგაზრდებში გავადვივით შეგნება ჯანმრთელობაზე მის მავნებელ თვისებაზე და იმ სიკეთეზე, რაც მოაქვს მოწვევისგან თავის დანებებას. ამ გადაწყვეტილებაში მათ უნდა დავანახოთ თავისუფლების და ავტონომიის ნიშანი მათთან შედარებით, ვინც მოწვევას სხვების მიბაძვით იწყებს ან იმიტომ, რომ აჩვენოს როგორ არაფრად მიაჩნია ზნეობის ნორმების “აკრძალვები” და დიდებისაგან დადგენილი ქცევები (პირველ რიგში კი მწვეველი მშობლები ვერ იცავენ მათ).

ამ კუთხით, შეიძლება დავინახოთ, რომ ძლიერი უწყებები ნაკლებ სიმკაცრეს იჩენენ პირდაპირი და არაპირდაპირი გზით მოქმედი სარეკლამო სისტემების წინააღმდეგ, რომელთაც ნამდვილად განსაცვიფრებელი წარმოსახვის უნარი აქვთ. შეიძლება გვეჩვენოს, რომ ეფექტური გზა თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად იყოს სიგარეტის ფასების ზრდა და თამბაქოს მწარმოებლებზე გადასახადების მომატება. სამწუხაოდ ასე არ არის: ფასების ზრდა არ აწუხებთ მწვეველებს, ისინი მზად არიან ნებისმიერ ფასად შეიძინონ სიგარეტი და არ მოიკლონ მოწვევა, რომელზეც არიან “დამოკიდებულნი” ან შეამცირონ სიგარეტის ყოველდღიური მოხმარება.

თამბაქოს მულტინაციონალებს იმდენად დიდი შემოსავალი აქვთ, რომ სულაც არ აშინებთ დაკისებული გადასახადების ზრდა, როდესაც საუბარია მილიადობით დოლარზე, რაც დღითი დღე იზრდება, ვინაიდან ბაზარზე გაიტანეს დაბალ ნიკოტინიანი სიგარეტის ტიპები, რასაც ნაკლებ მავნებლად ასაღებენ. ასე მოხდა ე.წ. მსუბუქი, დაბალი ნიკოტინის შემცველ “*ligh*” ან “*mild*” – სიგარეტების შემთხვევაში, რომელიც

ისეთივე მავნებელია როგორც ტრადიციული, იმ მექანიზმის წყალობით, რომ მწვეელი უფო ღრმად შეისუნთქავს კვამლს ან სიგარეტის უფრო მეტ ღერს ეწევა. ამ მიზეზით, თამბაქოს მწარმოებელი რამდენიმე ინდუსტრია სასამართლოზე წარდგა მომხმარებლების მოტყუების ბაღდებით, მათი შეცდომაში შეყვანით, რომ თითქოსდა ახალი პროდუქტი ნაკლებ ტოქსიკური ყოფილიყოს ტრადიციულთან შედარებით. მაშინ, როდესაც გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ფილტვების სიმსივნის რიცხვი მწვეელებში სწორედ “რბილი” სიგარეტების მოხმარების შედეგად გაიზარდა.

### ***მოწვევის ზნეობრივი პრობლემები***

ამ მიმოხილვის ბოლოს გვინდა, რომ ნათელი მოგვინოთ სიგარეტის მოწვევას ზნეობრივი კუთხით: ჯერ მწვეელის მხრიდან, და შემდეგ სახელმწიფოდან. საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობა ის პიროვნული და სოციალური სიკეთეა, რაც დაცვას და მფარველობას ითხოვს და მისი დაზიანება ზნეობრივი უპასუხისმგებლობით არ შეიძლება. აშკარაა, რომ პასუხისმგებლობა იმდენად სერიოზულია, როგორც თავად მოწვევით გამოწვეული ზიანი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. ზიანი კი მართლაც რომ მძიმეა, რადგანაც გამოწვეული პათოლოგიები (კარდიო-ცირკულარული დაავადებები, ფილტვის და სხვა სასიცოცხლო ორგანოს სიმსივნეები) სასიკვდილოა და ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებენ. სამწუხაროდ, მწვეელი ზნეობრივად ზიანს აყენებს არა მხოლოდ თავის თავს, არამედ სხვასაც, ვინც იძულებულია მწვეელთა გარემოცვაში იმყოფებოდეს. ზნეობრივად განსაკუთრებით მძიმეა მწვეელი ორსული ქალების შემხთხვევა, რადგანაც მათ მიერ მიყენებული ზიანი მთელი ცხოვრება ასვამს დაღს პატარას. მწვეელთა ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ მათი იმდენად დიდი დამოუკიდებლობა, რომ არ გამოსდით თვით ისეთ დელიკატურ გარემოებებშიც კი შეიკავონ თავი წვერისაგან, როგორცაა ორსულობა და ბავშვობის ასაკი. ეს აუფერულებს ზნეობრივ პასუხისმგებლობას; ფაქტი ფაქტად რჩება თამბაქოს გამოყენება პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალური კუთხით, არამედ ზნეობრივითაც.

იგივე ითქმის სახელმწიფოზეც, რომელიც, ერთი მხრივ, ცდილობს შეამციროს პასიური მოწვევით გამოწვეული ზარალი, თავშეყრის ადგილებში მოწვევის აკრძალვით; მაგრამ, მეორე მხრივ, დიდ მოგებას ნახულობს თამბაქოს კომერციით, ნებას იძლევა ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერების გაყიდვაზე. მართლაც, ერთია როდესაც სახელმწიფო ნებართვას იძლევა თამბაქოს გაყიდვაზე და არ შეუძლია მისი აკრძალვა, რადგანაც აკრძალვა დიდ ეფექტს გამოიწვევდა, არც მისი განადგურება ან მოხმარების შეზღუდვა, და გაყიდვის კომერციას უპასუხისმგებლობა ხელში აგდებს, და მეორეა, როდესაც თვით სახელმწიფო იღებს მნიშვნელოვან მოგებას სწორედ თამბაქოს გასაღებით და მასზე

დადგენილი გადასახადებით: ამგვარად ხომ თამბაქო უვნებელი პროდუქტების დონეზე დგება. ცხადია, ეს სახელმწიფოსათვის იოლი პრობლემა არ გახლავთ. *ბიოეთიკის კომიტეტი* შემდეგს აცხადებს: “ეთიკურად დასაგმობია, რომ სახელმწიფომ თამბაქოს კომერციიდან მოგება მიიღოს და რომ ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები შედეგიანად ვერ მოქმედებენ თამბაქოს კულტურის სხვა კულტურებით შეცვლის საკითხში”.

ასეა თუ ისე, საკმარისი არ გახლავთ ის გამაფრთხილებელი წარწერა, რასაც ზოგიერთ ადგილზე ვხვდებით: “მოწევა აკრძალულია” ან “მოწევა სასტიკად აკრძალულია” და არც ის კმარა თამბაქოს მომხმარებელ საზოგადოებას შესთავაზო სიგარეტის კოლოფი წარწერებით: “მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის”, “მოწევა ზიანს აყენებს თქვენს ნაყოფს”, „მოწევა იწვევს ნაადრევ სიკვდილს“. ბრძოლა თამბაქოს წინააღმდეგ სულ სხვა გზებს მოითხოვს.

**მამა გაბრიელე ბრაგანტინი**